ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 თებერვლიდან!

3Ფ[Ფკბ სფჯ,ფ4+ ყველასთვის გასაგები ვეფხისტყაოსანი“

წიგნი და გაზეთი ერთად 8 ლარი



[esif,fsb7 ( st,thdfkb7 @)!@ 133 (5723) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილმა პრესსპიკერად ირაკლი ალასანიას ცოლის და დანიშნა



გვ.3

## პაატა ჯიბლაძე: აღიაროს ივანიშვილმა, რა თანხები ჩაურიცხა მერაბიშვილს“

გვ.5





## დამტვრეულ თბილისელებს უგულავას ხარჯით უმკურნალებენ

ათეულობით სოფელი გარესამყაროს მოწყდა

გვ. 4

## ხელისუფლებამ მილიონები გადამალა

გვ. 2





გვ. 6

## იური ვაზაგაშვილი: ამ ხელისუფლებამ მოდგმა გამინადგურა“

## პოლიციის შენობების ასაგებად სკვერებს ისევ ჩეხავენ!

გვ. 3



## ხვალ ალა ჯიოევა შეიძლება დაიჭირონ

ოსური უმშრობა მორიგ პრეტენზიებს გვიყენებს

გვ. 4

გვ. 5

## საქართველო ბოსების“ და ნაჩალნიკების“ გარეშე ვერ ძლებს



3Ფ[Ფკბ სფჯ,ფ4+ ხბყუბპ .ფტყბ * კფჰბ ! სტ,ტჰდკბლფყ




ISSN 1987-9385

7 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 95 წლისაა

6 თინა ხიდაშელი: ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით აზრები არ გამაჩნია“

2 ირაკლი ალასანია თბილისის მერს, გიგი უგულავას მიმართავს

6 ბურჯანაძის პარტია თავისუფალი მედიის დაცვას ითხოვს

# ხელისუფლებამ მილიონები გადამალა

## რა თანხები გადამალეს არჩევნებისთვის

ნათია ხურცილავა

კოალიციამ „არჩევნის თავისუფლებისთვის“ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი გააცნო ჟურნალისტებს. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც კოალიციის წევრები აცხადებენ, არჩევნებთან არის მიბმული.

კოალიციაში აცხადებენ, რომ საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად განსხვავდება 2011 წლის ბიუჯეტისაგან და საარჩევნო წლის კვალი ცალსახად ეტყობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, სადაც სხვადასხვა აქტივობების სახით მოცემულია ხელისუფლების ხარჯვითი პოლიტიკა.

კოალიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ეკონომიკის ექსპერტი დავით ნარმანია აცახდებს, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გვხვდება ზოგიერთი ისეთი ხარჯი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, შესაძლოა ამომრჩევლის კმაყოფილების დონის გასაზრდელად იქნეს მიჩნეული, რაც ხელისუფლებას დამატებით საარჩევნო ხმებს მოუტანს.

– ყოველი ზემოთ ხსენებულის დადგენა და ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საბიუჯეტო ხარჯები დეტალურად და გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი. ამაში იგულისხმება ხარჯების დეტალურად გაწერა დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და მიმართულებების მიხედვით. საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არადამაკმაყოფილებელია და, 2011 წელთან შედარებით, ხარჯების დეტალიზაცის ფორმალურ მხარედ არის ქცეული. თუ 2011 წლის ბიუჯეტში 3000-მდე სხვადასხვა სახის დეტალური ჩანაწერი იყო, 2012 წლის ბიუჯეტში ის 1500-მდეა შემცირებული. პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენილი პროექტი კი მხოლოდ ზოგად ღონისძიებებზე იძლევა ინფორმაციას და არ არის მოცემული კონკრეტული პროგრამების მიხედვით დაფინანსების მოცულობა. 2011 წელს ცალ-ცალკე არსებული ზოგიერთი პროგრამა 2012 წლისთვის გამსხვილებულია და მხოლოდ ერთი ციფრით არის მათი ბიუჯეტი წარმოდგენილი. – ნათქვამია კოალიციის განცხადებაში.

დავით ნარმანია აცხადებს, რომ ხელისუფლება ოსტატურად ცდილობს ბიუჯეტში გადამალოს ისეთი ხარჯები, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას უკავშირდება.

– საბიუჯეტო საკითხებში გარკვეული და საარჩევნო ტექნოლოგიებს დაუფლებული ხელისუფლება ოსტატურად ცდილობს, ბიუჯეტში გადამალოს ისეთი ხარჯები, რომელთა აშკარად გამოჩენა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება იქნება. 2012 წლის ბიუჯეტი არ შეიცავს ინფორმაციას წინა წლის ხარჯების შესახებ, რათა ადვილად არ იყოს შედარებადი არასაარჩევნო 2011 და საარჩევნო 2012 წლის ხარჯები. მიუხედავად სირთულისა, მექანიკურად შედარებული 2011 წლის ბიუჯეტიდან და 2012 წლის ბიუჯეტიდან ადვილად ჩანს ის „ოინები“, რაც 2012 წელს ხელისუფების მთავარი ინსტრუმენტი იქნება საარჩევნოდ ხმების მოსაპოვებლად. – განაცხადად დავით ნარმანიამ.




არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდის მაგალითად ნარმანიას რეგიონალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება მოჰყავს, რომლის დიდი ნაწილიც უცხოეთიდან მოზიდული კრედიტებით ფინანსდება. მათ შორისაა რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება, რომელიც 2011 წელთან შედარებით, თითქმის 6-ჯერ იზრდება და მათი კრედიტებით ფინანსდება.

– ინფრასტრუქტურული პროექტები კარგი „კოზირია“ ხელისუფლების ხელში. ამ ღონისძიებებს, ტრადიციულად, მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდტები ესწრებიან, აქტიურად შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და, შესაბამისად, სახელისუფლო გუნდისთვის ხილულ აქტივს ქმნის. – აღნიშნავს დავით ნარმანია.

დავით ნარმანიას განცხადებით 2012 წლის ბიუჯეტი პროგრამული ბიუჯეტი არ არის.

– 2012 წლის ბიუჯეტი ზარ-ზეიმით იქნა მიღებული. ეს არ ნიშნავს, რომ პროგრამული ბიუჯეტია. პროგრამული ბიუჯეტი 2012 წელს მხოლოდ ფორმალობად არის ქცეული, რამდენადაც არ არის მოცემული ფუნდამენტური დებულებები, რაც უნდა ახასიათებდეს პროგრამულ ბიუჯეტს და რითაც უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი. 2012 წელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხარჯები გაზრდილია, თუმცა, ჯამში 193 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს ინფრასრტუქტურულ ღონისძიებებზე, აქიდან 153 მილიონი ლარი მოზიდული კრედიტით ფინანსდება. ეს ერთი შეხედვით მისაღებია ამ ყველაფრის უკან რომ არ იდგეს ხელისუფლება, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ხსნის და გახსნის კრედიტებით აღებული და დაფინანსებული ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტებს, რომლის გასტუმრება 5 და 10 წლის შემდეგ თითოეული ჩვენგანის კისერზე იქნება. – აცხადებს ნარმანია.

2012 წლისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მოცულობა 10 მილიონ ლარით გაიზარდა და 50 მილიონი ლარი შეადგინა.

– ამ პროგრამით ძირითადად ადგილობრივი, (სოფლის) საჭიროებები ფინანსდება. ასევე საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდის მოცულობა გასამმაგდა და 297 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული ხარჯები, ერთი მხრივ, რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ხმარდება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ინფრასტრუქტურის გახსნა და სხვა ღონისძიებები, მმართველი პარტიისთვის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია (ამგვარი პრეცედენტი უკვე გვაქვს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მასშტაბით საავადმყოფოების გახსნის მიზანმიმართული კამპანიის სახით). საწინააღმდეგო არავის უნდა ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, თუმცა, ჩვენ გვაქვს კარგი მაგალითები კერძო სექტორის მიერ აშენებული ესა თუ ის ობიექტი, როგორ პიარდება და როგორ ეწერება ხელისუფლებას დივიდენდები. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სოფლის დახმარებისა და რეგიონალური პროგრამებიც ამ მიმართულებით იქნება ხელისუფლების მხრიდან გამოყენებული. – განაცხდად დავით ნარმანიამ.

2012 წელს, როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის სოციალურ დაცვაზე მიმართული ხარჯები იზრდება.

– 1 სექტემბრიდან საქართველოში პენსიები იზრდება. ბუნებრივია, როდესაც ვამბობთ, რომ მაღალია შემოსავლები, ბიუჯეტში შემოსავლები არ გვიჭირს, მაშინ, რატომ არ დაიწყო 1 იანვრიდან საპენსიო რეფორმა? რატომ ამთხვევს ის საარჩევნო პერიოდს? რატომ ზრდის 1 სექტემბრიდან პენსიებს? ასევე ძალიან უცნაური სოციალური პაკეტი წარმოადგინა ხელისუფლებამ, რომელიც ბიუჯეტში მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობს, მინაწერი არსებობს, რომ 1 სექტემბრიდან დაიწყება სოციალური პაკეტის სხვადსახვა ღონისძიებები. მათ შორის ერთ-ერთი ინციატივა ჯანდაცვის მინისტრმა რამდენიმე დღის წინ გაახმოვანა. ესეც პირდაპირ დაკავშირებული არის საარჩევნო პერიოდთან. – ამბობს ნარმანია.

კოალიცია აღნიშნულ პროგრამებს წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირებს. ამას უკავშირებენ სასოფლო-სამეურნეო პროგრამების დაფინანსებაზე მიმართული ხარჯების მოცულობასაც.

– ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის სექტორი ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად გამოაცხადა. თუმცა, ამ პროგრამების გარკვეული ნაწილი სწორედ შემოდგომაზე ფინანსდება და ხორციელდება. ამის მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები. – ამბობს კოალიციის წარმომადგენელი ეკონომიკის ექსპერტი.

2012 წლისთვის საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდები – თითოეული კვლავაც 50 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

– პრეზიდენტისა და მთავრობის ყბადაღებული ფონდების თემა ისევ აქტუალურია, თითოეული 50 მილიონი ლარით ფინანსდება. ხარჯები ამ წელს არ იზრდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, თუ როგორ იხარჯება ამ ფონდებიდან სახსრები, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას სრული უფლება აქვთ საკუთარი სურვილისამებრ განკარგონ ეს თანხები. არანაირი შემზღუდავი და მარეგულირებელი მექანიზმი არ არსებობს. მიგვაჩნია, რომ ესეც გარკვეულწილად არჩევნებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დაიხარჯება. ასევე მნიშვნელოვანია შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები. – აცხადებს ნარმანია.

2012 წლის ბიუჯეტში, როგორც კოალიციის წარმომადგენელი დავით ნარმანია აცხადებს გაურკვეველ ხარჯებზეც არის საუბარი.

– გვხვდება ისეთი გაურკვეველი ხარჯები, როგორიც არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა – 10 მილიონი ლარით. მსგავსი ხარჯები წინა წელს არ იყო გათვალისწინებული. ასევე, 500 ათასი ლარით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების ფონდის მოცულობა. არც ეს პროგრამა ფინანსდებოდა წინა წლებში. აქვე დავძენ ერთ ინიციატივას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული არ ყოფილა და გაურკვეველია, საიდან დააფინანსებს მთავრობა ამ ხარჯებს: საქმე ეხება პოლიტიკური პარტიების სარეკლამო ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსებას, რომლის ინიცირებაც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ 2012 წლის 27 იანვარს გააკეთა. არჩევნებს უკავშირდება ის გარემოებაც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტების პროგრამული ფორმით მომზადების პრინციპი. ამით საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დაარღვია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის განკარგულება, რომელიც მას ამ სახის ბიუჯეტის დამტკიცებას ავალდებულებდა. საკითხის გარკვევის მიზნით გაგზავნილ ჩვენს მიმართვაზე ფინანსთა სამინისტრო უკვე 6 თვეზე მეტია დუმს, რაც იმას მოწმობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების გამჭვირვალობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას შეეწირა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრისთვის მკაცრად უნდა მოეთხოვა პასუხი. – განაცხადა დავით ნარმანიამ.

კოალიცია, ცესკოს დაფინანსების გაზრდაზე საუბრობს, რასაც ობიექტური გარემოებით ხსნის, თუმცა, იქვე განმარტავს, რომ ესეც შეიძლება წინსაარჩევნო პერიოდს უკავშირდებოდეს.

– 2011 წელს არსებული 12.4 მილიონი ლარიდან 2012 წელს ამ უწყების ხარჯები 39.6 მილიონ ლარამდე იზრდება. განსაკუთრებით იზრდება არჩევნების ჩატარების ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ხარჯები. (სულ 26.9 მილიონი) რომელიც უნდა მოხმარდეს საარჩევნო სიების მონიტორინგს, არჩევნების ფინანსურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას, სარეკლამო კამპანიის წარმართვას და მედია მონიტორინგს. ეს ის ღონისძიებებია, რომელთა გარეშეც არჩევნების ორგანიზება შეუძლებელია. თუმცა, ამ ხარჯების ეფექტიანობაზე მნიშვნელოვანია ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლი. როცა, ხელისუფლება გრძელვადიან ეფექტზე გათვლილ აქტივობებს აფინანსებს და საზოგადოების დაკვეთას ასრულებს. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო და არა საარჩევნო წლის ხარჯები მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის ხარჯებით უნდა განსხვავდებოდეს. 2012 წლის ბიუჯეტი ამ პრინციპით ნამდვილად არ არის შედგენილი და მნიშვნელოვანწილად მმართველი პარტიის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ემსახურება. – განაცხადა დავით ნარმანიამ.

## ხათუნა კალმახელიძე ქუთაისის მოსახლეობას შეხვდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი, ხათუნა კალმახელიძე ქუთაისის მოსახლეობას შეხვდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, იურიდიული დახმარების ქუთაისის ბიუროში გამართულ ინტერაქტიულ შეხვედრაზე მინისტრმა მოსახლეობას უწყების 2012 წლის 10 ძირითადი მიმართულება გააცნო და ყურადღება უფასო იურიდიული დახმარების სერვისების გაზრდაზე გაამახვილა.


ხათუნა კალმახელიძე

ხათუნა კალმახელიძის თქმით, საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები, მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში, ყველა სახის სამართლებრივ კონსულტაციას უფასოდ უწევენ, იურიდიული დოკუმენტების შედგენაში ეხმარებიან და სისხლის სამართლის საქმეებზე საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფენ.

შეხვედრაზე მინისტრმა ასევე პენიტენციური ჯანდაცვის მიმდინარე რეფორმაზე, პრობაციის სისტემაში დანერგილ სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

იურიდიული დახმარების ადვოკატებმა ქუთაისის ბიუროში შეკრებილ მოქალაქეებს უფასო კონსულტაცია ადგილზე გაუწიეს.

მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული დახმარების სერვისების გაზრდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2012 წლის 10 პრიორიტეტული მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ინტერპრესნიუსი

## ირაკლი ალასანია თბილისის მერს გიგი უგულავას მიმართავს


ირაკლი ალასანია

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია თბილისის მერს გიგი უგულავას, ზამთრის პერიოდში დედაქალაში დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიის გადასახადისგან განცალკევებისკენ მოუწოდებს.

„მივმართავ გიგი უგულავას, ახლა მაინც იფიქროს ხალხზე და ზამთრის ამ სუსხიან დღეებში, როდესაც თბილისელებს ყველაზე მეტად სჭირდება ელექტროენერგიის მოხმარება გასათბობად, ნაგვის გადასახადის ელექტროენერგიის გადასახადისგან განცალკავების გადაწყვეტილება მიიღოს“, – განაცხადა ალსანიამ

აღნიშნული ინიციატივით თბილისის მერს ხვალ, საკრებულოს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები, ზურაბ აბაშიძე და ვიქტორ დოლიძე მიმართავენ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილმა პრესსპიკერად ირაკლი ალასანიას ცოლის და დანიშნა

## კუკავა–ბურჯანაძეს ივანიშვილთან თანამშრომლობის შანსი არ აქვთ

შალვა ჯოხაძე

დაახლოებით ერთ კვირაში, ბიძინა ივანიშვილი მისი პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრებს წარადგენს, მანამდე მათ ვინაობას ინტრიგად ტოვებს. თუმცა, ივანიშვილი ამხელს თუ ვისთან ითანამშრომლებს და ვისთან – არა.

პარტიის წევრების წარდგენამდე, გუშინ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ლიდერმა საკუთარი პრესსპიკერი დაასახელა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახელით მნიშვნელოვან განცხადებებს გააკეთებს, გამართავს პრესკონფერენციებს და მედიასთან ექნება ურთიერთობა. კულუარებში სხვადასხვა კანდიდატურა განიხილებოდა, თუმცა, თავად ივანიშვილმაც განაცხადა, რომ რამდენიმე პრეტენდენტიდან საუკეთესოდ ამ პოსტზე მაია ფანჯიკიძე მიიჩნია. ფანჯიკიძე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების შემდეგ მისი ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელი და თემატური ჯგუფების კოორდინატორი იყო. მანამდე, ფანჯიკიძე დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. ის გერმანული ენის სპეციალისტი გახლავთ. გარდა სხვადასხვა უნივერსიტეტისა, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საელჩოში გერმანიაში. სააკაშვილის ხელისუფლებაში მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაც ეკავა, შემდეგ იყო ელჩი გერმანიასა და ნიდერლანდების სამეფოში. თუმცა, ის ვადაზე ადრე დაითხოვეს. ფანჯიკიძე მისი გათავისუფლების მიზეზად მაშინ ირაკლი ალასანიასთან მის ნათესაობას ასახელებდა. ცნობისათვის, მაია ფანჯიკიძე ირაკლი ალასანიას ცოლის დაა. მართლაც, მისი გამოწვევა ნიდერლანდებიდან ალასანიას ოპოზიციაში გადასვლას მოჰყვა.

პრესსპიკერის წარდგენის გარდა, ბიძინა ივანიშვილმა იმ საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა, რის შესახებაც მედიაში განსაკუთრებით ხშირად და ბევრს საუბრობენ. ესაა პოლიტიკურ ძალებთან ივანიშვილის თანამშრომლობის ფორმატი, ასევე ის, თუ როდის წარადგენს ის თავის პარტიას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანერზე, რომლის ფონზეც ისაუბრა ივანიშვილმა, გამოსახული იყო „ქართული ოცნების“ ყველასთვის კარგად ნაცნობი ლოგო, თუმცა მინაწერით – „პოლიტიკური კოალიცია ქართული ოცნება“.

ირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი მომავალი პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფს ზუსტად ერთი კვირის შემდეგ წარგვიდგენს. მისი თქმით, საინიციატივო ჯგუფის წარდგენის შემდეგ პარტია მალევე სავარაუდოდ, მარტში დაფუძნდება.

– პარტიაზე ბევრს და განსაკუთრებულს ვერაფერს მოგახსენებთ. ინტრიგად დავტოვებ საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობასაც, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მის პოლიტიკურ მხარდამჭერებს შორის ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობაა.

– ჩვენთან არის „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, ძიძიგური და დავითაშვილი. ჩვენ ძალიან მეგობრული კოლექტივი შევქმენით. ჩვენ და პირადად მე, მოვახერხეთ აბსოლუტური სინქრონიზაცია და ჰარმონია ისეთ ორ დიდ პარტიას შორის, როგორიც არის „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“. ორივე პარტიის წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს მეგობრულ ურთიერთობაშია. ჩვენი ოპონენტები და ჟურნალისტები გარედან ცდილობენ, აჩვენონ, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, „ეროვნულ ფორუმთანაც“ ისეთივე ურთიერთობა დამყარდება, როგორიც ამჟამად გუნდის სხვა წევრებს აქვთ ერთმანეთთან.

– მე ძალიან კარგად ვიცი ხალხის შერჩევა. ძალიან კმაყოფილი ვარ ყველა პარტიით, რომელთანაც მოვახერხეთ ურთიერთობის დამყარება, – აღნიშნა ივანიშვილმა.

კიდევ ვისთან ითანამშრომლებს და ვისთან არ სურს აქტიური მუშაობა, ივანიშვილი ამის შესახებაც საუბრობს. ის ამხელს, რომ თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს გუგული მაღრაძესთან, ასევე – სალომე ზურაბიშვილთან. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ზურაბიშვილი მასთან სათანამშრომლოდ მზადაა, თუმცა გარკვეული დეტალებია დასაზუსტებელი.

– ხვალ ან ზეგ მექნება შეხვედრა



მაია ფანჯიკიძე და ბიძინა ივანიშვილი

გუგული მაღრაძესთან. მაღრაძესთან თანამშრომლობაზე პრინციპული შეთანხმებები მიღწეულია. მე მას ვთავაზობ მთლიანად გაერთიანებას ჩემს მომავალ პარტიაში. ასეთივე მოლაპარაკებები მაქვს სალომე ზურაბიშვილთან. სალომე ზურაბიშვილი თანამშრომლობისთვის მზადაა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, მაჟორიტარული წესით არჩევნებთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის მზადაა „სოციალ-დემოკრატებთან“. მან „სოციალ-დემოკრატების“ ლიდერის, გიორგი ჟორჟოლიანის წერილი მიიღო, რომელმაც შესთავაზა ცალკეულ რეგიონებში მაჟორიტარებთან დაკავშირებით თანამშრომლობა, რასაც ივანიშვილი სიამოვნებით განიხილავს.

– ასეთივე რანგში განვიხილავთ თანამშრომლობას „მწვანეების“ პარტიასთან. თუ ჩვენ მოვახერხებთ თანამშრომლობას და ეს ძალები კანდიდატს წამოაყენებენ კონკრეტულ რეგიონში, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვის, ჩვენ შეგვიძლია მათ მხარი დავუჭიროთ და საერთო კანდიდატზე ვიზრუნოთ ერთად, – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ივანიშვილისათვის მიუღებელ პოლიტიკურ ძალებს, ის ამის შესახებაც საუბრობს. ბიძინა ივანიშვილი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან და „თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელ კახა კუკავასთან, ტექნიკური საკითხების გარდა, თანამშრომლობას გამორიცხავს.

– არ შეიძლება ურთიერთობა პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში არიან შემჩნეული. ამგვარი ეჭვები ჩვენ არც კუკავასა და არც ბურჯანაძის პარტიებთან მიმართებაში არ გაგვაჩნია, მათ განვიხილავთ ხელისუფლების ოპონენტებად, ამდენად, მათთან თანამშრომლობა მისაღებია, მაგრამ პოზიციები, მსოფლმხედველობა თუ იდეოლოგია, რომელიც გააჩნია ჩემს მომავალ პარტიას და ჩემს პარტნიორებს, განსხვავდება მათი იდეოლოგიისგან. მხედველობაში მაქვს, რომ ჩვენ ვართ პროდასავლური იდეოლოგიის და მხოლოდ არჩევნების გზით ვაპირებთ ხელისუფლების შეცვლას. ბურჯანაძის და კუკავას პარტიები პროდასავლურობას არ მიესალმებიან და ამავდროულად ცდილობენ ქუჩის აქციებით შეცვალონ ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ალბათ, ვერ მოვახერხებთ მათთან რაიმე სახით თანამშრომლობას. თანამშრომლობა მათთან შეიძლება მოხდეს მხოლოდ საარჩევნო სივრცის გაუმჯობესებისა და მსგავსი ტექნიკური საკითხების ირგვლივ, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, ის და მისი გუნდის წევრები მაქსიმალურად შეეცდებიან, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ ნინო ბურჯანაძესთან და კახა კუკავასთან.

აქვე გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავს, ხელისუფლებამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გადაწყვიტოს. იგი იმედოვნებს, რომ ეს ასე არ მოხდება და არჩევნები კონსტიტუციურ ვადებში ჩატარდება.

– ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, – განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა და დასძინა, რომ თუ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას მაინც მიიღებს, მისი გუნდი მზად იქნება.

ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნებისას ხელისუფლების მიერ ხმების ხუთი პროცენტით გაყალბებას აიტანს. თუმცა, არჩევნების 30 და მეტი პროცენტით გაყალბების შემთხვევაში, კანონიერი მეთოდებით, მათ შორის აქციებით, ხმებს დაიცავს. ივანიშვილის თქმით, იგი საპროტესტო აქციებზე არ ფიქრობს და ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით აპირებს.

მსგავს თემებზე ისაუბრა ამ დღეებში ივანიშვილმა ერთ-ერთი გერმანული გამოცემის, „შტანდარტის“ ჟურნალისტთან საუბრის დროსაც.

– გამარჯვებამდე ვიბრძოლებ, მე უკან დასახევი გზა არ მაქვს.

რა თქმა უნდა, არჩევნები სამართლიანი არ იქნება. ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის მედია საშუალებების 95-99 პროცენტს სახელმწიფო აკონტროლებს, მოგება იოლი არ არის, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და სიახლეები აქ ძალიან სწრაფად ვრცელდება. მე ჩემი საინფორმაციო ბუკლეტები ადამიანებამდე ფოსტალიონების მეშვეობით შემიძლია მივიტანო. ჩვენ მოვიპოვებთ აბსოლუტურ უმრავლესობას. ხელისუფლება ვერ შეძლებს ხმების 30-დან 50 პროცენტამდე გაყალბებას. არც ამერიკელები და არც ევროპელები ამას არ აპატიებენ.

ღმერთმა დაიფაროს, არანაირი რევოლუცია არ იქნება. მე არანაირ რევოლუციაში მონაწილეობას არ მივიღებ. რევოლუცია არ არის სწორი გზა, რადგან რევოლუციას, როგორც წესი, იმედგაცრუება მოსდევს. ხოლო თუ ხალხი გააზრებულად მოქმედებს და ემოციებს არ ჰყვება, ყველაფერი სხვაგვარად არის. მე მინდა საქართველოს უახლეს ისტორიაში შევქმნა პრეცენდენტი იმისა, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და ამომრჩევლებმა იცოდნენ, ვის და რატომ ირჩევენ, – განაცხადა ივანიშვილმა.

# დემოკრატიული მოძრაობა ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებას უერთდება

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივას გამოეხმაურა. „მივესალმები დიმიტრი ლორთქიფანიძის წინადადებას და „დემოკრატიული მოძრაობის“ სახელით ვუერთდები; დღესვე მზად ვართ, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ მემორანდუმის შემუშავებაში, ხელიც მოვაწეროთ დოკუმენტს და მის მოქმედებაში მოყვანაზეც ვითანამშრომლოთ“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ბურჯანაძემ.



დიმიტრი ლორთქიფანიძე

პარლამენტის ექსსპიკერმა ასევე დაადასტურა დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიციის მხრიდან, ბოლო პერიოდის განმავლობაში, არც ერთი მხარდამჭერი განცხადება არ გაკეთებულა პოლიტიკური პატიმრების უფლებების დასაცავად. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, მათი მხრიდან აბსოლუტურად იგნორირებული იყო ეს საკითხი, რაც რეალურად ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს.

„ისიც კი მსმენია, რომ ამა თუ იმ ადამიანს იმიტომ არ დაივიცავთ, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები ჩვენისგან განსხვავდებაო. მათ უნდა იცოდნენ, რომ დემოკრატია სწორედ ის არის, რომ შეიძლება ადამიანის აზრებს არ ეთანხმებოდე, მაგრამ მათ ამ აზრის გამოხატვის უფლებას აძლევ. შეიძლება ჩვენც არ ვეთანხმებით იმ ადამიანის პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებიც 26 მაისამდე იყვნენ დაკავებულები, მაგრამ თუ ადამიანი პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული, არ აქვს მნიშვნელობა მის პოზიციას იზიარებ თუ არა, მისი უფლებების დასაცავად უნდა იბრძოლო“, – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე გაზეთ „ყველა სიახლესთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ დროა გაფორმდეს მემორანდუმი და უკლებლივ ყველა პოლიტიკური ძალა შეუერთდეს ადამინის უფლებათა დაცვის ვალდებულებას.

**ინტერპრესნიუსი**

# პოლიციის შენობების ასაგებად სკვერებს ისევ ჩეხავენ!

შალვა ჯოხაძე

უკვე ტრადიციად იქცა ის, რომ დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალსა და გამოსაჩენ ადგილებში, პარკებისა თუ სკვერების ხარჯზე, საპატრულო პოლიციის განყოფილებების შენობებს აგებენ. მორიგი შეტევა მოსკოვის გამზირსა და კიკვიძის ბაღზე მიიტანეს, რასაც საზოგადოება თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აპროტესტებენ. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ამ ადგილებშიც პოლიციის შენობების წამოჭიმვაა დაგეგმილი, თუმცა შესაბამისი ბანერები, რომელზეც პროექტი იქნება გამოსახული, ჯერ არ გამოფენილა. სამაგიეროდ, მიდის უმოწყალო ჩეხვა. მოსკოვის გამზირზე ფიჭვის ხეების გაჩეხვასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საზოგადოებას გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცემ“ აუწყა. თუმცა, ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მოკლე ხანში, ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლებს მოსკოვის გამზირზე შუაღამით გადაღებული ფოტოების გავრცელება მოუხდათ, თუ უკვე როგორ გაიჩეხა ხეები. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ანა გაბრიაძის განცხადებით, აქ 70-მდე ფიჭვი 2 საათში გაანადგურეს. ეს ყველაფერი „უსაფრთხო სივრცის“ წარმომადგენლების თვალწინ მოხდა, რომელთაც საქალაქო სამსახურების დაკვეთის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. მუშებს დავალება ჰქონდათ მიცემული, ამ ტერიტორიას კი სამართალდამცავები აკონტროლებდნენ.

**ანა გაბრიაძე:**

– ის რაც აქ მოხდა, არანაირ კანონში არ ჯდება. მოსახლეობამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რომ ფიჭვნარი არ გაეჩეხათ,



ამათ კი ღამით დაიწყეს სამუშაოები. ხალხს სკვერი ცხვირწინ გაუჩეხეს ისე, რომ ტერიტორიის შემოღობვაც არ დაასრულეს, შემოცვივდნენ, მოსწრებაზე იყვნენ, რომ გაჩეხვა მალე დაესრულებინათ. აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, ღამით ჩეხავდნენ მზიურსაც. ალბათ, იგივე ბედი ელის კიკვიძის ბაღსაც, სადაც, ასევე, პარკის ტერიტორიაზე მონაკვეთი შემოღობეს. კიკვიძის ბაღის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა ამ ფაქტს აპროტესტებს. მათი პროტესტი სამართლიანია, რადგანაც ამ ადგილებს სარეკრეაციო ზონის სტატუსი აქვს და აქ მსგავსი მოქმედებები კანონით არის აკრძალული.

კონკრეტულად, რა დარღვევებით მიმდინარეობს პროცესი, ამის სამართლებრივი შეფასება ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის“ იურისტ მერაბ ჩიქოვანს ვთხოვეთ. მისი განცხადებით, ამ ტერიტორიებზე, სარეკრეაციო ზონის სტატუსიდან გამომდინარე, მშენებლობა დაუშვებელია.

**მერაბ ჩიქოვანი:**

– კიკვიძის ბაღი და მოსკოვის გამზირის ბოლოს არსებული გამწვანება წარმოადგენს რეკრეაციულ ზონას, სადაც პოლიციის შენობის მშენებლობა (თუ ეს დადასტურდა) არ შეიძლება, ვინაიდან ამ ტერიტორიებს არ აქვს სტატუსი შეცვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნამდვილად აისახებოდა თბილისის მერიის საიტზე. უფრო მეტიც, უნდა არსებობდეს თბილისის თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი გადაწყვეტილებაც, რაც დღეის მდგომარეობით არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ სამშენებლო ობიექტზე არ გახლავთ განთავსებული საინფორმაციო დაფა, ეს წარმოადგენს სამართალდარღვევას. კონკრეტულ შემთხვევაში, არანაირი საინფორმაციო დაფა მოსკოვის გამზირზე ადგილზე მისულებს არ გვინახავს. მეტიც, მშენებლობის ტერიტორია არ იყო სრულად შემოფარგლული უსაფრთხოების ღობით, რაც ასევე უკანონობაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნარგავების განადგურების დროს არ იყო მონიშნული მოსაჭრელი ნარგავები. ყურადსაღებია ისიც, რომ შემსრულებლებს უნდა ჰქონოდათ როგორც ნებართვა, ასევე ჭრის აღრიცხვის უწყისი, სადაც უნდა ყოფილიყო ასახული ხეების მოცულობაც (ოდენობაც). ჩვენს კანონიერ მოთხოვნაზე, წარმოედგინათ მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვა (გასცემს ეკოლოგიის საქალაქო სამსახური), ასევე ჭრის აღრიცხვის უწყისი, არავინ არ გვცემდა პასუხს. ამით, პრაქტიკულად, ნათელია, რომ პასუხისმგებელი პირი ამ სამუშაოების მიმდინარეობისას არ იმყოფებოდა ადგილზე ან არ მოისურვა ჩვენთან გასაუბრება.

# ხვალ ალა ჯიოევა შეიძლება დაიჭირონ

## ოსური უშიშროება მორიგ პრეტენზიებს გვიყენებს

თეა მარხვაიძე

ხვალ, 10 თებერვალს ცხინვალში დიდი ალიაქოთი შეიძლება ატყდეს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ამ დღეს ალა ჯიოევა ინაუგურაციის გამართვას აპირებს. მან დაარღვია გასულ წელს მიღწეული შეთანხმება და პრეზიდენტის უფლებამოსილების გადაცემას ითხოვს.

ამაზე მას რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა უარი უთხრა. ამის მიუხედავად, ალამ უკან არ დაიხია. და ახლა „ნებითა თვისითა“ აპირებს ამ პოსტის დაუფლებას.

ექსპერტები ამბობენ, რომ ამან შესაძლოა ცხინვალში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს. ამის გამო ანატოლი ბარანკევიჩმა ოფიციალურად აქცია ზურგი ჯიოევას. არადა, მთელი არჩევნების განმავლობაში ის მის გვერდით იდგა.

ჯიოევას განცხადებებზე მთელი ეს პერიოდი ადგილობრივი ძალოვანები სდუმდნენ. მათ არც მაშინ ამოუღიათ ხმა, როცა ალამ შეუთვალა, კეთილი ინებეთ და ინაუგურაცია მშვიდად ჩამატარებინეთო.

გუშინ მოულოდნელად ოსურმა უშიშროებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა და როგორც მოსალოდნელი იყო, სამომავლო არეულობის და მზაკვრული გეგმების მომზადებაში დაგვდო ბრალი.

ოსური პორტალების ცნობით, ცხინვალის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. არჩევნების წინ პროვოკაციების მცდელობაში ადანაშაულებს.

მთავრობის უშიშროების სამსახურმა 8 თებერვალს გაავრცელა გამაფრთხილებელი განცხადება იმის შესახებ, რომ ქართული სპეცსამსახურები აპირებენ, ჩაშალონ მათ ქვეყანაში 25 მარტს დაგეგმილი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები.

– სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ფლობს უტყუარ ინფორმაციას, რომ ოფიციალური თბილისი დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით დაძაბოს რესპუბლიკის შიგნით არსებული სიტუაცია, რაც მიზნად ისახავს 25 მარტს დაგეგმილი არჩევნების ჩაშლას, სამოქალაქო ურთიერთობის დაძაბვას და ქვეყნის სუვერენიტეტის ეჭვქვეშ დაყენებას. ამ მიზნების განსახორციელებლად ქართული სპეცსამსახურები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ტერაქტებს გეგმავენ, – ნათქვამია განცხადებაში.

საგანგებო განცხადება გაავრცელა გუშინ ადგილობრივმა შს სამინისტრომაც. ამ უწყების შეფთან ვალერი ვალიევთან ალა ჯიოევამ თავის დროზე საერთო ენა გამონახა. შარშან გაგანია აქციების დროს ის და ვალერი ვალიევი ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრმა ღიად თქვა, რომ ის აქციის მონაწილეების წინააღმდეგ იარაღს არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებოდა.

მან მაშინ ეს პირობა შეასრულა და როგორც ამბობენ, ამიტომაც ჩამოიყვანეს ცხინვალში ჩრდილოეთ ოსეთიდან სპეცრაზმი. საჭიროების შემთხვევაში


ალა ჯიოევა

აქციის მონაწილეებს ისინი უნდა გასწორებოდნენ.

შარშან აქამდე საქმე არ მისულა. მაგრამ ხვალ შესაძლოა დიდი ამბები ატყდეს. ვალიევის უწყებამ საგანგებო განცხადება საგანგებოდ გაავრცელა. ოსური პორტალის „რეს“-ის ცნობით, სამხრეთ ოსეთის მილიცია არასანქცირებულ აქციებში მონაწილეებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ემუქრება.

ოსური მილიციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია, არასანქცირებული ღონისძიებები გაიმართოს.

– შსს აფრთხილებს რესპუბლიკის მოქალაქეებს, არასანქცირებულ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა, რამაც შესაძლოა, დე-ფაქტო რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მკაცრად აღიკვეთება.

ჯიოევას დაწიოკებას ხელი შესაძლოა კრემლის არჩევანმაც შეუწყოს. როგორც ირკვევა, კრემლმა უკვე იპოვა საკუთარი კანდიდატი. ექსპერტთა ნაწილის ცნობით, ეს დიმიტრი მედოევი იქნება. სავარაუდოდ ამიტომ გამოიწვიეს ის დესპანობიდან. ცნობისათვის, რამდენიმე წლის წინ ის კოკოითიმ რუსეთში სამხრეთ ოსეთის ელჩად დანიშნა.

ამასთან, ირკვევა, რომ ცხინვალის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მირა ცხოვრებოვამ უარი განაცხადა 25 მარტს საპრეზიდენტო არჩევნებში“ მონაწილეობის მიღებაზე. მან თავის მომხრეებს მოუწოდა მხრი დაუჭირონ რუსეთის ფედერაციაში ცხინვალის ელჩს დიმიტრი მედოევს.

– მას მე ვუკავშირებ ჩემს იმედებს სამშობლოს აყვავებაზე, – განაცხადა ცხოვრებოვამ საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც მედოევის პრეზიდენტის კანდიდატად წარდგენას მიეძღვნა.

ეს განცხადება მალევე გახმოვანდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა ცნობა გაავრცელეს იმის თაობაზე, რომ დიმიტრი მედოევი არ გამორიცხავს არჩევნებში თავის მონაწილეობას და ჩამოვიდა ცხინვალში, სადაც უკვე მთელი რიგი კონსულტაციები გაიარა.

– თუ საინციატივო ჯგუფი შეიკრიბება და წინადადებით მომმართავენ მე, რათა კენჭი ვიყარო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის პოსტზე, მე მივცემ თანხმობას, – განუცხადა „ელჩმა“ ჟურნალისტებს.

რეაქციამაც არ დააყოვნა. ეს კი ქართველი ექსპერტების აზრით, მიუთითებს ადრე შეთანხმებული გეგმის არსებობაზე მედოევის წარდგენის თაობაზე.

– დიმიტრი მედოევის კანდიდატურა, რომელიც ადრე დიდი ხნის განმავლობაში მოსკოვში მუშაობდა და სადაც მას გააჩნია მნიშვნელოვანი კავშირები, განიხილებოდა ისეთი ფიგურის სახით, რომელიც კრემლს შარშანდელი „საპრეზიდენტო არჩევნების“ წინაც აწყობდა. მაგრამ მაშინ უპირატესობა ცხინვალის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის ანატოი ბიბილოვისადმი იქნა მინიჭებული, რომელმაც ოპოზიციის კანდიდატ ალა ჯიოევასთან დიდი უპირატესობით წააგო და ცოტა ხნის წინ უარი განაცხადა 25 მარტს დანიშნულ „არჩევნებში“ მონაწილეობის მიღებაზე. მედოევის კანდიდატურის წამოყენება ნიშნავს იმას, რომ თადარიგში ფორმალურად წასულმა მარიონეტული რეჟიმის თავკაცმა ედუარდ კოკოითმა ვერ შეძლო თავისი კლანიდან ვინმეს კრემლისათვის თავს მოხვევა, – ისეთების როგორებიც არიან, მაგალითისთვის, „გენპროკურორი“ თაიმურაზ ხუგაევი ან ინფორმაციის კომიტეტის, კავშირგაბმულობისა და მასობრივი კომუნიკაციების თავმჯდომარე გიორგი ყაბისოვი, – აცხადებენ „ექსპერტთა კლუბში“.

რუსი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ მედოევს გამარჯვების ძალიან მცირე შანსები აქვს. ის ცხინვალში დიდი პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობს.

ცხინვალს ხვალ მართლაც დიდი ამბები ელოდება. ჯიოევას შტაბი ამბობს, რომ მათ ინაუგურაციისთვის ყველაფერი მზად აქვთ. ინაუგურაცია დღის 12 საათზე უნდა შედგეს. ადგილი ჯერ არ კონკრეტდება.

არ არის გამორიცხული, საქმე აქამდე არ მივიდეს. შარშანაც ერთი დღით ადრე გადაიფიქრა ალამ პრეზიდენტის ფიცის დადება. შესაძლოა ახლაც მოლაპარაკება გამართონ.

ჯიოევა მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს დათმობაზე წასვლას, თუ თანამდებობას რესპუბლიკის გენპროკურორი და უზენაესი სასამართლოს თავკაცი დატოვებენ.

სხვათა შორის, შარშანაც ამ პირობით დაიხია უკან. გადადგომამდე კოკოითიმ, ალას საძულველი ორი კაცი მოხსნა პოსტებიდან. თუმცა, მერე გაირკვა, რომ ამაზე პარლამენტის თანხმობა იყო საჭირო. პარლამენტი კი ამ კაცებს არ შეელია. და ალა მიხვდა, რომ მოატყუეს.

## „ახალი მემარჯვენეების“ ბათუმის ორგანიზაციის კონფერენცია ჩატარდა


დავით გამყრელიძე

ბათუმის სასტუმრო რედისონში „ახალი მემარჯვენეების“ ბათუმის ორგანიზაციის კონფერენცია ჩატარდა.

კონფერენციას პარტიის თავმჯდომარე დავით გამყრელიძე და პარტიის სხვა ლიდერები ესწრებოდნენ.

ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ კონფერენციამ ჯუმბერ მიქელაძე აირჩია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას დავით გამყრელიძემ ხაზი გაუსვა, რომ „ახალი მემარჯვენეები“ დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

„პარტიას ორი უმთავრესი პრიორიტეტი აქვს – მცირე ბიზნესი და სოფლის გაძლიერება. აჭარისთვის ორივე თემა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხეს სერიოზული პოტენციალი გააჩნია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, პირველ რიგში, ამ პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად, მეორე მხრივ კი იმისთვის, რომ მიღებული სიკეთით რიგითმა მოქალაქეებმა ისარგებლონ, „– განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მედიანიუსი

# დამტვრეულ თბილისელებს უგულავას ხარჯით უმკურნალებენ

## ათეულობით სოფელი გარესამყაროს მოწყდა

თეა მარხვაიძე

თბილისში და მთელ საქართველოში ისე თოვს, ერს სერიოზულად გაუჩნდა ეჭვი, ხელისუფლებამ კლიმატიც ხომ არ გაყიდა. ბენდუქიძის თქმით, სინდისის გარდა, ყველაფრის გაყიდვა შეიძლება. ამ ყველაფერში კი სავარაუდოდ კლიმატიც შედის.

თუმცა სახუმაროდ საქმე ნამდვილად არა გვაქვს. საქართველოს ხელისუფლება ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა. ხელისუფლების მომხრეები იტყვიან, რა ქნან, თოვას ხომ არ შეაჩერებენო.

თოვლის შეჩერება ნამდვილად არ შეუძლიათ, მაგრამ უკეთესად შეეძლოთ თადარიგის დაჭერა. მით უმეტეს, რომ ამინდის პროგნოზს ეცნობიან. სინოპტიკოსთა ცნობით კი, კარგა ხანია ვიცით, რომ ამ დღეებში თოვლი იქნებოდა.

თოვლის დროს, როგორც წესი, ქუჩებს სპეც-ტექნიკით წმენდენ და მარილს აყრიან.

ჩვენ ქუჩებს კი მარილიც აკლია და სპეც-ტექნიკის ნაკვალევიც. ხელისუფლება კი ამტკიცებს, მარილი არ გვენანებაო, მაგრამ ვითარება საპირისპიროს ამტკიცებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება თბილისის გარეუბნებშია. საავადმყოფოებში ყოველდღე ათეულობით დამტვრეული ადამიანი შეჰყავთ.

თბილისის მერი გიგი უგულავა უამინდობასთან და ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, თბილისის დასუფთავების, კეთილმოწყობის, სოციალური მომსახურების, ტრანსპორტის, საგანგებო სი-


გიგი უგულავა

ტუაციების მართვისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების უფროსებს შეხვდა. გიგი უგულავა დეტალურად გაეცნო ქალაქში არსებულ მდგომარეობას და სამსახურის უფროსებს სხვადასხვა დავალებები მისცა, – ამ ინფორმაციას თბილისის მერიის პრესსამსახური ავრცელებს.

ამავე წყაროს ცნობით, თბილისის მერის ინიციატივით, ყველა იმ ადამიანს, ვინც უამინდობასთან დაკავშირებით ტრავმული დაზიანება მიიღო და დაზღვეული არ არის, მათი მკურნალობის ხარჯებს თბილისის მერი საკუთარი ფონდიდან დაუფინანსებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში დედაქალაქში თოვის გამო საავტომობილო გზებსა და ტროტუარებზე მოქალაქეებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. გზების გაუწმენდაობის გამო, თბილისის სხვადასხვა უბანში შეზღუდული იყო ტრანსპორტის მოძრაობა. ტექნიკური მარილი ძირითადად ცენტრალურ გზებზე დაიყარა, გარეუბნებში დასახლებები კი პარალიზებული იყო. დღეს დიდთოვლობის გამო, თბილისის რამდენიმე უბანში საცობები შეიქმნა. რაც შეეხება ტროტუარებს, ის, პრაქტიკულად, არ იწმინდება. საავადმყოფოების ცნობით კი, მათ მოყინულ და დათოვლილ გზაზე დაცემის შედეგად სხეულის ტრავმული დაზიანებით ათეულობით მოქალაქემ მიმართა. შექმნილი ვითარების მიუხედავად, ქალაქის ქუჩებში თოვლის გამწმენდი ტექნიკა არ გამოჩენილა.

თბილისის გარდა თოვლმა ვითარება საქართველოს რეგიონებშიც გაართულა. ადგილობრივი ხელისუფლება არც რეგიონებში აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გორის ქუჩებში ტექნიკურ მარილს არ ყრიან. არ მუშაობს თოვლის მხვეტავი ტექნიკა. 2012 წლის 31 იანვარს დადებული ხელშეკრულებით, ზამთრის სეზონზე ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 22 ქუჩის გამწმენდი სამუშაოების ჩატარება გორის ,,კეთილმოწყობის სამსახურმა“ ითავა. ,,კეთილმოწყობის სამსახურის“ წარმომადგენლის ნანა დვალიშვილის თქმით, ქუჩები ეტაპობრივად იწმინდება. თუ რომელი ქუჩა იწმინდება, მას არა აქვს ინფორმაცია. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აღნიშნული სამუშაოებისთვის 8 300 ლარი გამოიყო. ამ დროისთვის, ფართოთ ყველაზე დიდ ქუჩებზე – სტალინის, გორკის, თამარ მეფის, ჭავჭავაძის, ფარნავაზის, სადგურის და ა.შ. – გასაწმენდია.

60 ტონა მარილი (15 000 ლარის ღირებულების), გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2011 წლის 21 ნოემბერს შეისყიდა. მიღება-ჩაბარების აქტს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძე აწერს ხელს. ტექნიკური მარილი ინდმეწარმე ,,ვლადიმერ ჯავახიშვილისგან“ შეისყიდა. ინდმეწარმე გორში, ქუთაისის ქუჩაზე, №67 ნომერშია დარეგისტრირებული.

იმედი ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ვითარებას გამოასწორებს, რადგანაც თოვა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

უკეთესი მდგომარეობა არც კახეთის რეგიონშია. უამინდობამ პრობლემები აქაც უხვად შექმნა. ცოტა ხნის წინ თოვლის გამო წინანდალში საბავშვო ბაღის სახურავი ჩამოინგრა. კიდევ კარგი, იმ მომენტში ბაღში ბავშვები არ იმყოფებოდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დიდთოვლობის გამო კახეთში 30-ზე მეტი სოფელი გარესამყაროს არის მოწყვეტილი. ჩაკეტილია ერისიმედთან, ხორნაბუჯთან, უდაბნოსთან, კასრისწყალთან, დუმასტურთან, ხალაწანთან მისასვლელი გზები. კიდევ უფრო რთული ვითარებაა ხეობის და მთის სოფლებში.

გარესამყაროს არის მოწყვეტილი ახმეტის რაიონში ილტოს ხეობის ხუთივე სოფელი (მათ შორის შახვეტილა), ყვარლის რაიონში ინწობას ხეობის სამი სოფელი, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, საგარეჯოს რაიონში გომბორის ხეობის სოფლები, გურჯაანის რაიონში სოფლები ჭერემი, ზიარი და ფხოველი, დედოფლისწყაროს რაიონში ქედების ზონა. მთის სოფლებში თოვლის სიმაღლე ნახევარ მეტრს აჭარბებს და როგორც ადგილობრივებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ისევ ინტენსიურად თოვს.

– ტექნიკა გზის გაწმენდას ქალაქში ველარ ასწრებს. ამიტომ ორხიდიანი მანქანები გამოგვყავს და თოვლს ისე ვკვალავთ, მოსახლეობამ გზაზე ფეხით სიარული მაინც რომ შეძლოს. პირველ ეტაპზე ცენტრალური ქუჩები გაიწმინდება, შემდეგ კი ილტოს ხეობის სოფლებთან დამაკავშირებელ გზას მივხედავთ. გუშინ სოფელ ჭართალის მცხოვრებლებს საკვები პროდუქტები ჩავუტანეთ, რადგან სოფელი რაიონული ცენტრიდან თითქმის 25 კილომეტრით არის დაშორებული და ხალხი რაიონში ველარ ჩამოდის, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ.

თოვლმა თავი არც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შეირცხვინა. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დიდთოვლობის გამო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 47 სოფელი გარესამყაროს არის მოწყვეტილი. მაღალმთიან სოფლებში გადაადგილება შეიზღუდა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ორი სოფელი – კარკუჩა და ჯუთა მერვე დღეა გარესამყაროს არის მოწყვეტილი. სოფლებთან დამაკავშირებელი გზები დიდთოვლობის გამო ჩაიკეტა.

როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვიქტორ სუჯაშვილმა განუცხადა, ამჟამად სოფლებთან მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია თრუსოს ხეობაში შესასვლელი გზაც.

გარესამყაროს არის მოწყვეტილი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში შემავალი 15 და პირიქითა ხევსურეთის 30 სოფელი. პირიქითა ხევსურეთის სოფლებთან დამაკავშირებელი გზა ოქტომბრიდან მაისამდე იკეტება.

– უკანა ფშავის სოფლებთან და ბარისახოსთან დამაკავშირებელი გზა გახსნილია. არც გუდამაყრის ხეობაა ჩაკეტილი. ამ დროისთვის მხოლოდ მჭადიჯვარი – ძალისის მონაკვეთია გასაწმენდი. ახლაც თოვს და შესაძლოა, გზები კვლავ ჩაიკეტოს, – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლაშა ჯანაშვილმა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი აბაშვილი აცხადებს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელთან დამაკავშირებელი გზა გახსნილია. „ყველა სოფელთან მისასვლელი ცენტრალური მაგისტრალი გაწმენდილია. მსუბუქ ავტომანქანებს გადაადგილება უჭირთ, მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ყველა სოფელში დაუბრკოლებლად შევა“, – აღნიშნა აბაშვილმა.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე გივი ამირხანაშვილი აცხადებს, რომ რეგიონში საგზაო მაგისტრალები უწყვეტ რეჟიმში იწმინდება.

# პაატა ჯიბლაძე: ალიაროს ივანიშვილმა, რა თანხები ჩაურიცხა მერაბიშვილს“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებისა და პირადად ვანო მერაბიშვილის უწყების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების გასაჯაროებისკენ მოუწოდებენ.**


პაატა ჯიბლაძე

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ დროა მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ღიად ისაუბროს იმ მილიონებზე, რომელიც მან სააკაშვილის რეჟიმის გაძლიერებას მოახმარა. შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს მით უფრო იმ დროს, როცა ივანიშვილი ოპოზიციურ ფლანგზეა და ის, როგორც თავად განაცხადა, სააკაშვილის დამარცხებას გეგმავს.

– საგაზეთო ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა ორიოდე დღის წინ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სწორედ მისი მეშვეობით ხდებოდა სააკაშვილ-მერაბიშვილის სადამსჯელო ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსება, რომლებმაც შემდეგ საკუთარ მოსახლეობას სასაკლაო მოუწყო; შექმნა პოლიტიკური პოლიცია და მრავალი უდანაშაულო ადამიანი სრულიად უკანონოდ, ციხეებში გამოამწყვდია, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა საკმაოდ სერიოზული დაფინანსება მიიღო ივანიშვილმა, რაც რეალურად ამ ქვეყანაში დიქტატურის ჩამოყალიბებას მოხმარდა.

– მივმართავთ ბატონ ივანიშვილს: საქართველოს მოსახლეობის სრული ინფორმირებისათვის გამოაქვეყნოს დეტალური ნუსხა მის მიერ ხელისუფლებისათვის გადარიცხული 1.243.000 000 ლარის შესახებ. მოუთმენლად ველოდებით ბიძინა ივანიშვილისაგან გულახდილ პასუხს, – განაცხადა პაატა ჯიბლაძემ. მისი თქმით, პირველივე ინტერვიუში, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას მოჰყვა, ბიზნესმენმა ხაზი გაუსვა, რომ დღიდან ვარდების რევოლუციამდე, ოპოზიციაში წასვლამდე და სააკაშვილთან დაპირისპირებამდე მის მიერ განხორციელდა გადარიცხვები 1 243 000 000 ლარის ოდენობით, რის შესახებაც მანამდე, რა თქმა უნდა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვლმა სრული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მოსახლეობას. მაშინ ამ განცხადებას „ქართუ ბანკი“ გამოეხმაურა და სრული აბსურდი უწოდა.

– ამიტომ ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ბატონ ბიძინას ივანიშვილს, რომ მან გამოაქვეყნის საქართველოს მოსახლეობის სრული ინფორმირებულობისათვის დეტალური ნუსხა ამ თანხების შესახებ, – აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ. მისი თქმით, ლეიბორისტული პარტია თავისი გეგმის შესაბამისად მუშაობს და რა ხდება სხვა პოლიტიკურ ძალებში – დაიშლება ივანიშვილის კოალიცია თუ ერთობას შეინარჩუნებს, მას არ აინტერესებს.

– თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ დაიშალა მანამდე ის „გაერთიანებული ოპოზიცია“, რომელიც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა; როგორ დაიშალა შემდეგ „რვიანი“; როგორ დაიშალა – „ექვსიანი“ და ეს „ექვსიანი“ როგორ აღდგა ივანიშვილის ფულების ხიბლით, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს, არაფერია გამორიცხული. ანუ შეიძლება ეს მოხდეს – განმეორდეს, თუ რაღაც-რაღაც მომენტების გამო ვერ მოხდა ამ სუბიექტების მიერ ადგილების გადანაწილება ან სხვა ამბიციების დაკმაყოფილება, რომელმაც დაშალა მანამდე „რვიანი“ და „ექვსიანი“ და რომელსაც ძალიან კარგად ადევნებდა თვალს საქართველოს მოსახლეობა, – აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

გუშინვე ჯიბლაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ლეიბორისტლი პარტია ყოველთვის იყო ეროვნული, სოციალური მიმართულების პარტია და ის რესპუბლიკური პარტიის გვერდით ვერ დადგება.

– რესპუბლიკელებს თავანთი გზა აქვთ. ბიძინა ივანიშვილს თავისი გზა აქვს. ბიძინა ივანიშვილს თავის გადაწყვეტილება ჰქონდა ამათუ იმ პარტიის მიმართ თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ. ეს მისი გადასაწყვეტია, ვის გვერდზე დადგება. ჩვენ ჩვენი ბრძოლის გზა გვაქვს. ჩვენ უშეღავათო ბრძოლის გზა გვაქვს. ჩვენ ყოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდით საქართველოს მოსახლეობას განსხვავებით იმ კოალიციაში გაერთიანებული პარტიებისა, რომლებიც ნაცმოძრაობის ბუდიდან ამოფრინდნენ, ნაცმოძრაობასთან ერთად შევიდნენ პარლამენტში და თავისი წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნასთან დაკავშირებით. დღესაც ლეიბორისტული პარტია საქართველოს მოსახლეობას იმ სიმართლეს ეუბნება, რომელიც მიაჩნია საჭიროდ, რომ ის საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, – განაცხადა პაატა ჯიბლაძემ. მისი თქმით, ლეიბორისტული პარტია ყოველთვის სიმართლეს იტყვის, იქნება ეს მომგებიანი მოსახლეობის თვალში თუ არა.

– მხოლოდ სიმართის თქმა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა ბოლოს პაატა ჯიბლაძემ და საზოგადოებას მიანდო იმის განსჯა, სიმართლეს ამბობს ივანიშვილი ლეიბორისტებთან მიმართებაში თუ არა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბიძინა ივა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველო ბოსების“ და ნაჩალნიკების“ გარეშე ვერ ძლებს

შორენა გონგლაძე

**– სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტი, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის, სხვა კაბინეტების ვიდეო და ფოტოკადრები ჭრის საქართველოს ტელემაყურებლის თვალს, თან არწმუნებს, რომ საქართველო და ამერიკა განუყოფელია. ვიზუალურ მასალას ერთვის პოლიტიკოსთა, პოლიტოლოგთა, ჟურნალისტთა აღფრთოვანებული კომენტარები, რაც კიდევ უფრო არწმუნებს მოსახლეობას მეგობრობის სიმტკიცეში, – პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის ამ შეფასებას „გეურასია.ორგ“-ი ავრცელებს.**

– ხელისუფლება და ოპოზიცია ერთსულოვნად აღნიშნავს ვიზიტის წარმატებულობას, თუმცა განსხვავებული ინტერპრეტაციით. ხელისუფლება წინა პლანზე წევს საკუთარი ლიდერის როლს, მის ღვაწლს ამ საქმეში, ოპოზიცია კი – განსაკუთრებით ჯერჯერობით კულისებში მყოფი, პრეზიდენტის დამსახურებას აფუჩეჩებს და წინა პლანზე ქვეყანას სწევს, – ამბობს ჭიპაშვილი. მისი აზრით, რომ არა სააკაშვილი, საქართველოს უფრო მეტი პატივით მოეპყრობოდნენ. საინტერესოა, სხვა მეტ რაღა ხელგაშლილ მასპინძლობას გაუწევდნენ სააკაშვილის გარეშე საქართველოს? განსხვავებული სასმისით ამერიკელები ღვინოს არ მიირთმევენ, არც პირველი ლედის ან ამ შემთხვევაში ქალი სახელმწიფო მდივნის ფეხსაცმელით, სხვა მეტი რაღა უნდა გაეკეთებინათ?!

სააკაშვილისთვის გამართული შეხვედრა-საუბრები სცდება დიპლომატიურ პროტოკოლს და უფრო აღმატებულ სახეს იღებს. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, სენატორები, კონგრესმენები, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი, საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, ნიშნავს „რაღაცას“, რის დანახვაც არაფრით არ სურს „დამალულ“ ოპოზიციას.

სწორია ხელისუფლება, როდესაც ამბობს, რომ შეხვედრები იყო სააკაშვილთან, „ვარდების რევოლუციის“ გმირთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული ფერადი რევოლუციების პროექტის ყველაზე წარმატებულ პოლიტიკოსთან და არა საქართველოსთან. საქართველო ამ შემთხვევაში „გარნირია“, მთავარი – სააკაშვილია.

შეხვედრების დროს ცხადია იყო საქართველოს ხსენება იმდენად, რამდენადაც უნდა ეხსენებინათ. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი ხომ რომელიმე ქვეყნიდან უნდა იყოს? სხვა მხრივ არც სტუმარს და, მით უმეტეს, არც მასპინძელს საქართველო და ქართველი ხალხი ისე აინტერესებს, როგორც გუშინდელი თოვლი.

მასპინძელი რომ საფუძვლიანად იცნობდეს სტუმარი პრეზიდენტის ქვეყნის ნეგატიურ ამბებს მისი გამოისობით გამოწვეულს, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. მაგრამ იცის მასპინძელმა ის, რაც სააკაშვილის ქვეყანაში ხდება? ოპოზიცია დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ იცის და ამ ინფორმაციას არა მარტო თვით აწვდის ამერიკულ „კრემლს“, არამედ თბილისში არსებული აშშ-ს საელჩოც.

- ოპოზიციისა რა მოგახსენოთ, ვიცით მისი ტყუილების ამბავი, – ამბობს ჭიპაშვილი. ნაცვლად არსებული მძიმე ვითარებისა, თავის სამრეკვლოდან უხატავს ოკეანისგადაღმელ საკუთარ „ბოსებს“ საქართველოს პრობლემებს. საელჩოც „დიპლომატიური“ ენით ატყობინებს ცენტრს ქართული ცხოვრების სიმძაფრეს და ეს შერბილებული შეტყობინება, როგორც ჩანს, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწის უჯრაში ილექება, ისიც საუკეთესო შემთხვევაში.

ასეა თუ ისე, მსგავსი მასპინძლობა, განსაკუთრებით მასპინძლობის დროს ჩანჩქერივით გადმოღვრილი საქებარი სიტყვები, სწორი ინფორმაციის სიმწირეზე მიგვანიშნებს და თუ არა, მაშინ ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე, რასაც ქართული უწმაწური გამოთქმის მსგავსი შინაარსი აქვს – ეს ხის ტოტი კიტრია და უნდა ჭამოო.

ამერიკულად თან ანტისააკაშვილისტურად განწყობილი მავანი, ასეთები ჭარბად არიან, შემდეგაცა – ობამამ კი აქო სააკაშვილი დემოკრატიისათვის, წარმატებული რეფორმების გატარებისათვის, კორუფციის დამარცხებისათვის, ავღანეთში ჯარის გაგზავნისათვის, მაგრამ ისიც უთხრა, რომ ყოველივე ამის გვირგვინი ხელისუფლების ოფიციალური გადაცემა უნდა იყოსო.

თითქოს ამაში არის სინამდვილის რაღაც მარცვალი და ის წააგავს ვითარებას, დამსახურებულ ადამიანს პენსიაზე გაშვების წინ ორდენით რომ აჯილდოვებენ, მაგრამ რა ასეთი „დამსახურება“ მიუძღვის სააკაშვილს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ დიდი ამერიკის დიდმა პრეზიდენტმა, უფრო სწორად, მაღალმა, ესოდენ მაღალფარდოვანი სიტყვები დახარჯოს, თანაც ესოდენ შეუფერებელი ადრესატისთვის?

ობამას მიერ სააკაშვილის მისამართით ნათქვამი სიტყვები, განსაკუთრებით დემოკრატიასთან დაკავშირებით, არც არასდროს გაკარებია საქართველოს დამოუკიდებლობის, მით უმეტეს, სააკაშვილის მმართველობის რვაწლიან პერიოდს. თუ რამე დამსახურება მიუძღვის სააკაშვილს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს წინაშე.

სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობისას მოხდა საქართველოს სიგრძე-სიგანისეული ამერიკანიზაცია, ისეთი, ტერიტორიულ-გეოგრაფიულად ახლო რომ ვყოფილიყავით ამერიკასთან, კარგა ხანია მის შტატად გამოვაცხადებდით თავს. თუმცა გაგანია გლობალიზაციის პერიოდში, მანძილს სულაც არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ სულითა და ხორცით შორეულისა ვართ.

დამოუკიდებლობის დღიდან დაწყებული, განსაკუთრებით ბოლო რვა წლით დამთავრებული, უდიდეს ლტოლვას აქვს ადგილი ოკეანისგადაღმელი ქვეყნისაკენ. ეს ლტოლვა მოჭარბებულად აქვს ხელისუფლებას, ოპოზიციას, მათ ნათესავებს და გულშემატკივრებს, ნაკლებად ხალხს.

ეს უკანასკნელი სხვაგვარად ფიქრობს, განიცდის, აღიქვამს პოლიტიკოსთა ბედოვლათობას და გამყიდველობას. მისი აზრით, რაც საქართველოში ხდება, არა მარტო სააკაშვილის ბრალია, არამედ ვაშინგტონისაც და უფრო მეტად ამ უკანასკნელის. ხალხის რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა სააკაშვილის ამერიკული ვოიაჟით, აშშ-ს პრეზიდენტის დაუფიქრებლად ნათქვამი საქებარი სიტყვებით. მაგრამ ხალხის აზრი არც არასდროს გაუზიარებიათ და არც მომავალში გაიზიარებენ, ვიდრე თვით ხალხი არ აიძულებს ამას ისე, როგორც ეგვიპტეში, სხვაგან.

დიახ! ოფიციალურმა ვაშინგტონმა ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო სააკაშვილს, როგორც საკუთარ პროექტს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცესა და რეგიონში ამერიკული ინტერესების გამტარებელს, სხვა ქვეყნებისთვის მისაბაძ მაგალითს, როგორც ამერიკელზე მეტ ამერიკელს, ესოდენ ხშირად რომ იყენებს ვაშინგტონი უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, ყირგიზეთის, სხვა ქვეყნების შიდა ცხოვრების „მოსაწესრიგებლად“.

ეს რომ ასე არ იყოს, რომელი დემოკრატიული ქვეყანა გაიკარებდა სხვა ქვეყანაში არჩევნების „დასაბალანსებლად“ ათასობით ზონდერის გამგზავნს? გაიხსენეთ თუნდაც უკრაინის მაგალითი.

სააკაშვილი ვაშინგტონის ღვიძლ შვილადაა მიჩნეული და ასე იქნება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება თეთრ სახლში. მასთან ამერიკელობაში პაექრობა წყლის ნაყვაა, ვინაიდან ამერიკის გულის კუნჭული სააკაშვილითა და სააკაშვილებითაა დაკავებული.

ამერიკას, ცხადია, უხარია ახალი თაყვანისმცემლის გამოჩენა, მაგრამ მხოლოდ და მეტი არაფერი. დიდი-დიდი სათადარიგო სკამზე მიუჩინოს ადგილი, იმ გრძელ სათადარიგო სკამზე, რომელზეც რახანია სხედან თარგამაძე, გამყრელიძე, საპარლამენტო „ოპოზიციური“ პარტიები, რომ აღარაფერი ვთქვათ ივანიშვილის ფრთებქვეშ შეყუჟულ ალასანია-უსუფაშვილზე, ივანიშვილს რომ თავისი ჰგონია.

დამოუკიდებლობის წლებმა გვაჩვენა, რომ ქართულ პოლიტიკას არც უნარი და არც ნიჭი არ აქვს დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ქვეყანა. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან პირდაპირი შედეგია 70-წლიანი საბჭოური მმართველობის.

მაგრამ თუ შევხედავთ ყოფილ საბჭოელებს, უმალ გაგვიბათილდება ეს მოსაზრება. ყოფილმა საბჭოელებმა დედის რძესავით შეირგეს დამოუკიდებლობა, რაღა ჩვენ გამოვდექით საბჭოური მენტალიტეტის ყველაზე მტკიცე დამცველები?

20 წელია ყველამოწყენილი ვეხვეწებით ამერიკა-ევროპას – ჩაგვიხუტეთ, მიგვიღეთ ნატოსა და ევროკავშირში და ნახეთ, როგორი დამჯერები ვიქნებითო. და ამ ოცწლიანი ხვეწნის გარდა არაფერი გაგვიკეთებია. სხვებმა გააკეთეს, თანაც დიდთა უკანალში შეძრომის გარეშე, დაუმწვარი მწვადისა და შამფურის პრინციპით.


ჰამლეტ ჭიპაშვილი

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში რაც გავაკეთეთ – „ბოსის“ შეცვლაა, ანუ მეზობელი „ნაჩალნიკის“ ნაცვლად ცხრა მთას იქით მყოფის „გაბოსება“. და ვართ ერთ ამბავში – ამერიკული ცხოვრების წესის კოპირებით, თანაც მახინჯურად.

ისიც გვაქებს და გვადიდებს. მისგან რა მიდის. მას აწყობს საკუთარდაკარგული, გაამერიკელებული, გადაგვარებული ქართველი, ისეთი, როგორიც სააკაშვილი და სააკაშვილებია, მოსწონს სააკაშვილის ამერიკულ-ინგლისურით ენის ქნევა, სააკაშვილის მსგავსი მენტალიტეტი.

ის უდავოდ მოიწონებს კულისებში მყოფი ახალი ოპოზიციის ამ სიტყვებს: „საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სრულად განვახორციელებთ საქართველოს მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს“.

კაცმა რომ თქვას, საქართველოს მიერ მიღებულ რომელ დეკლარირებულ საგარეო კურსზეა ლაპარაკი, საქართველოსთვის რომ არავის უკითხავს? იქნებ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხელოვნურად შეტანილი საკითხი (ნატოში შესვლა) ითვლება საქართველოს დეკლარაციად?

ყველამ კარგად იცის იმ არჩევნების ლეგიტიმურობა. „ჩვენ ვარწმუნებთ აშშ-ს და მთელ დემოკრატიულ თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ქვეყნის სვლა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ...“, – აღნიშნულია ობამასადმი გაგზავნილ ივანიშვილის წერილში. ვაშა!!!

ოცწლიანმა „დამოუკიდებლობამ“ იმდენად დაგვცალა საღი აზრისგან, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას აშშ-ს ვეხვეწებით. ისიც ვერ გაგვიგია, რა პასუხს გაგვცემს „ბაბაია“. პასუხი კი პრიმიტიული იქნება – არჩევნები თქვენია და დემოკრატიულად უნდა ჩაატაროთო. ალბათ ისეთ „დემოკრატიულად“, ვაშინგტონს რომ აწყობს.

პალესტინაშიც ითხოვდა ამერიკა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და როცა ეს მოხდა, გამარჯვებული (ჰამასი) აღარ მოეწონა და დღემდე ებრძვის მას. აშშ დემოკრატიულად მიიჩნევს საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებსაც, უფრო მეტიც, ხმის დათვლაც არ იყო დამთავრებული, ბუშმა რომ გამარჯვება მიულოცა სააკაშვილს. ასე რომ, ვიცით ამერიკული დემოკრატია. ისიც ვიცით, რომ არადემოკრატის მისაბაძ დემოკრატად აღიარება, უფრო საკუთარი ინტერესების გამოვლინებაა, ვიდრე დემოკრატიის, – აცხადებს ჭიპაშვილი.

# იური ვაზაგაშვილი: ამ ხელისუფლებამ მოდგმა გამინადგურა“

## 9 თებერვალს კორტებთან დიდი აქცია იგეგმება

გულიკო ბალაძე

**6 წლის წინ, 9 თებერვალს, კორტებთან ზურა ვაზაგაშვილი დახვრიტეს. გუშინ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დახვრეტილი ზურა ვაზაგაშვილის მამის, იური ვაზაგაშვილის სამოქალაქო მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ოფისში უამრავი ხალხი შეიკრიბა.**

ეს ოფისი, ფაქტობრივად, სააკაშვილ-მერაბიშვილის ხელისუფლების დროს ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების ფოტოების გალერეას წარმოადგენს. „რომ არა სააკაშვილ-მერაბიშვილის რეჟიმი, დღეს ზურა ვაზაგაშვილი 27 წლის შესრულდებოდა“. 9 თებერვლისთვის, ალბათ, ეს წარწერა შეიცვლება და დაიწერება: „რომ არა სააკაშვილ-მერაბიშვილის რეჟიმი, ზურა ვაზაგაშვილი 28 წლის შესრულდებოდა.

აქ შეკრებილი საზოგადოება კიდევ ერთხელ უსამძიმრებდა იური ვაზაგაშვილს და მის ოჯახს შვილის დაღუპვას. ბატონ იურის შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ გაყუჩებია და არც არასოდეს გაუყუჩდება.

მას ამ ხელისუფლებამ ერთადერთი შვილი წაართვა.

ამ ოფისში შეიგრძნობ, თუ რა შედეგი მოიტანა სააკაშვილის ბოლშევიკურმა ლოზუნგმა „ნულოვანმა ტოლერანტობამ“. ფაქტობრივად, ამ ხელისუფლების პოლიტიკამ ქართული გენოფონდი გაანადგურა. როგორი კარგი, დედისერთა ბიჭები ჩააწვინა მიწაში, „გადაარჩინე სიცოცხლის“ ოფისში მიხვდებით. მათ ხომ კიდევ დიდხანს უნდა ეცხოვრათ და თავიანთი ოჯახებისა და სამშობლოსთვის შთამომავლობა მიეცათ. ამ დროს ჩადენილი დანაშაულისთვის დამნაშავეებს პასუხიც კი არ უგიათ.

შეკრებილი საზოგადოების სახელით განცხადება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა გააკეთა. ის თავის დროზე ვაზაგაშვილის ადვოკატი იყო.

ზაზა ხატიაშვილის შეფასებით, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობა არის ყველაზე დიდი დანაშაული, რაც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა.

— სამოქალაქო რეჟიმი იმისთვის შევიკრიბეთ, გავიხსენოთ სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველაზე ბინძური დანაშაული, ზურაბ ვაზაგაშვილის ქუჩაში დახვრეტა. ზურას რამდენიმე ათეული ტყვია ესროლეს. ჩვენ ვიცით, ვინ არიან მკვლელები და შემკვეთები. ვინაიდან ხელისუფლების პირველი პირები მონაწილეობდნენ უამრავი დანაშაულის ჩადენაში და ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტაში, არავინ დასჯილა, არავინ დაუსვამთ საბრალდებო სკამზე, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა, — 6 წელია სამოქალაქო საზოგადოება ვიკრიბებით ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტის ადგილზე, ვითხოვთ დანაშავეების დასჯას, მაგრამ დღემდე არავინ დასჯილა.

ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ ამ ხელისუფლების პირველი პირებისთვის ბრალის წარდგენას მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მაინც მოახერხებს და საბრალდებო სკამზე დასვამს ამ და უამრავი სხვა მკვლელობის შემკვეთებსა და შემსრულებლებს.



იური ვაზაგაშვილი

— დღეს სამოქალაქო საზოგადოებას კიდევ ერთხელ გვიწევს იმის შეხსენება ხელისუფლებისთვის, რომ რამდენი ხანიც არ უნდა იყოს ეს ჯგუფი ხელისუფლებაში, ყველაფერს აქვს დასასრული. საბრალდებო დასკვნა, რომელიც დაიდება ხელისუფლების პირველ პირებზე, ერთ-ერთი პირველი იქნება ზურაბ ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და ვანდალური საშუალებით, — თქვა მან, — ისინი, ვინც მკვლელობა ჩაიდინა, გასამართლდებიან, ყველა ის პირი, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, გასამართლდება.

9 თებერვალს კორტებთან, ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტის ადგილას სამოქალაქო საზოგადოება კიდევ ერთხელ შეიკრიბება. „ვისაც სურს, რომ ზურა ვაზაგაშვილის მდგომარეობაში არ ჩავარდეს, შევიკრიბოთ და მოვითხოვოთ მკვლელებისა და შემკვეთების დაპატიმრება. ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების კიდევ ერთი გამარჯვება და კიდევ ერთი პროტესტი, რომელიც ისეთი ძლიერი უნდა იყოს, რომ რეჟიმმა უკან დაიხიოს.

ყოფილი შინაგანი ჯარების სარდლის გია შერვაშიძის თქმით, ზურა ვაზაგაშვილის საქმის გამოძიება ადგილიდან არ დაძრულა.

— რომ არა 2006 წლის 2 მაისი, დღეს ზურა ვაზაგაშვილს 28 წელი შეუსრულდებოდა. ზურა ვაზაგაშვილის საქმის გამოძიება ადგილიდან არ დაძრულა. თითქოს გამოძიება ჩატარდა, ყველაფერი ამ საწყალ, ვაჟკაც ბიჭს დაბრალდა. ყველას თავისი ჩადენილი დანაშაულისთვის მოეთხოვება. შორს არ არის ეს დღე. განსაკუთრებით უნდა დაისვას იმ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც პრაქტიკულად, ვაზაგაშვილის საქმე გააყალბეს და დამნაშავეები გაამართლეს. 9 თებერვალს არის ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღე. გვინდა მივიდეთ დახვრეტის ადგილზე და პატივი ვცეთ ვაზაგაშვილების ოჯახს. კიდევ ერთხელ გამოვხატოთ სოლიდარობა და ჩავატაროთ სოლიდარობის აქცია, — განაცხადა გია შერვაშიძემ.

გია შერვაშიძის განცხადებით, დღევანდელ ხელისუფლებაშიც, ნაცმოძრაობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ ოჯახს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო თავს იკავებენ და მხარდამჭერებად არ ჩნდებიან ღონისძიებებზე.

— არ იქნება სწორი, თუ ამ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც იური ვაზაგაშვილის ოჯახს 6 წელია თანაუგრძნობენ, ახლა მაინც არ გამოიჩენენ ვაჟკაცობას და არ გამოჩნდებიან მხარდამჭერთა შორის. თუ ისინი ახლა მაინც გამოჩნდებიან მხარდამჭერთა შორის, ეს ძალიან კარგი იქნება.. ბოლო, მე-7 წელს თუ მაინც გამოჩნდებიან იური ვაზაგაშვილის მხარდამჭერებში, ეს ძალიან კარგი იქნება არა მარტო დაღუპულებისთვის, არამედ მათთვის, ვისი სიცოცხლეც ვერ დავიცავით და ვცდილობთ სიკვდილის შემდეგ მაინც გავაკეთოთ რაღაც. მინდა კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო ვაზაგაშვილების ოჯახს, რომლებსაც დღემდე შავი არ გაუხდიათ. მათ ვაჟკაცი დაკარგეს. მინდა ვანუგეშო იმით, რომ საქართველო არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთი დანაშაულობები სამუდამოდ დაიფარება, — თქვა გია შერვაშიძემ.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, 9 თებერვალს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ პიკს უნდა მიაღწიოს. ის ტკივილი, რაც მიაყენა სააკაშვილის რეჟიმმა ვაზაგაშვილების ოჯახს, საზოგადოების ტკივილიცაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ ეგუება სააკაშვილის რეჟიმს.

***— ბატონო იური, მიუხედავად იმისა, ხელისუფლებამ უდიდესი ტკივილი მოგაყენათ, თქვენ მათთან მაინც გამარჯვებული ხართ. ხელისუფლებამ ქართველი ბიჭების ქუჩაში დახვრეტით, საკუთარი თავი უმძიმეს მდგომარეობაში არ ჩააყენა?***

— ხელისუფლების მდგომარეობას ცოტა სხვაგვარად შევაფასებდი იმიტომ ხელისუფლებაში მე ვერ ვხედავ, საერთოდ, ადამიანს. რაიმე ადამიანური რომ ჰქონდეთ, ასეთ საშინელებებს არ ჩაიდენდნენ.

***— ნეტა, საკუთარი შვილებიც არ უყვართ? თუ შენი შვილი გიყვარს, ქუჩაში სხვის შვილებს როგორ დახოცავ?***

— შვილები, ალბათ, უყვართ, მაგრამ საერთოდ, თავიანთი თავის გარდა არავინ უყვართ. 150-ზე მეტი ბავშვია ქუჩაში დახვრეტილი. ადამიანები რომ უყვარდეთ, ამას არ იზამდნენ. თავიანთი პირადი სიამოვნებისა და სკამის გულისთვის გააკეთეს ყველაფერი. გავიხსენოთ 2008 წელი, ცხინვალის ომი. ხომ ყველამ ვიცით, ვისი დაწყებულია. ციხეებში უამრავი ხალხი იხოცება, რას უშვრებიან (ჭორი არ არის, ჭორებს არ ვიტყოდი), ადამიანების ორგანოებით ვაჭრობენ. რაც ნაციონალები ხელისუფლებაში არიან, 900 ადამიანია დაკარგული. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს სინდისის ძარღვი საერთოდ არ გააჩნიათ. ესენი რომ ცუდ მდგომარეობაში არიან, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ თვითონ ამის შეგნება არ აქვთ, ადამიანობა არ აქვთ. ეს რომ იგრძნო, მაშინ ადამიანი უნდა იყო.

***— სხვათა შორის, სააკაშვილისა და ნაციონალებისდარად მოქმედებდნენ 30-იანი წლების ბოლშევიკები. გავიხსენებ სააკაშვილის მოწოდებას „ნულოვანი ტოლერანტობა“, რომელმა მოწოდებამაც უმძიმესი შედეგები მოუტანა ქართველ საზოგადოებას...***

— ისტორიკოსთან ერთად დავსხდეთ და გადავხედოთ საქართველოს ისტორიას, თუ რომელიმე გარე მტერი გვყავდა ისეთი და იმდენი ავნო ქვეყანას, რაც ამ ხელისუფლებამ, რაც ნაციონალებმა გააკეთეს 2003 წლის შემდეგ, აბსოლუტურად ყველა ასპექტში. ვფიქრობ, ეს ჩვენი და ჩვენი საზოგადოების ბრალიცაა. ყოველთვის ვამბობ, სამოქალაქო საზოგადოებამ თუ არ ავიღეთ ჩვენი წილი ვალდებულება, არც ერთი ხელისუფლება არ არის (იშვიათი გამონაკლისის გარდა) საზოგადოებისა და ქვეყნისთვის. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები. თუ ჩვენ ახლაც ერთად არ დავდგებით, რომელ გამარჯვებაზეა საუბარი.

***— მე მორალურ გამარჯვებაზე ვსაუბრობ...***

— მესმის, რასაც მეუბნებით, მაგრამ მე განადგურებული ვარ ყველანაირად, მოდგმა გამინადგურეს ამ უსინდისოებმა. ახლა გაჩნდა გამარჯვების შანსი, თუ ჩვენ ერთმანეთის უფლებებს დავიცავთ. აგერ, ჩვენ ერთი დავიძახეთ და სამ კვირაში 300 ათასი ხმა შევაგროვეთ სრულიად უანგაროდ, გზის ფული არ ჰქონდა ხალხს და საქმეს აკეთებდა იმიტომ, რომ იმედი გაუჩნდათ (ხელმოწერები შეაგროვეს ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით – გ.ბ.). ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა. უსინათლოების სამი ჯგუფი დადიოდა ხელმოწერების შესაგროვებლად. მათ დაინახეს ახალი სახე, გამოჩნდა კაცი, გაუჩნდათ იმედი და ყველა ჩაერთო. მთელი სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს ჩართული ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვაში.

***— თქვენ შეძელით, გებრძოლათ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.***

— ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ ჩვენმა ორგანიზაციამ „გადაარჩინე სიცოცხლე“ შეძლო ის, რომ შეაჩერა ქუჩაში დახვრეტები. სანამ ცოცხალი ვარ, ვიბრძოლებ იმისათვის, რომ აუცილებლად დაუდგეს საქართველოს სამართლიანობა და ყველა დამნაშავე, შემკვეთიც და შემსრულებელიც, ციხეებში ჩავსვათ, მაგრამ არა ისე, როგორც სააკაშვილი-მერაბიშვილის ხელისუფლებამ გაავსო ციხეები ალალ-მართალი უდანაშაულო ადამიანებით. სამართლიანი ქვეყანა უნდა ავაშენოთ. იმაზე ძვირფასი რა არის, შენი შვილი დაცული იქნება. სწავლა უნდა, ისწავლოს, შრომა უნდა, თავისუფლად გავიდეს და იშრომოს. იმაზე ძვირფასი არაფერია, შვილებსა და შვილიშვილებს ნორმალურ ქვეყანას რომ შეუქმნი და დაუტოვებ. ამ ლამაზ ქვეყანაში კარგი გარემო უნდა შეუქმნა, სადაც ბედნიერად იცხოვრებენ.

— მომავალში სამოქალაქო აქტიურობა როგორ წარმოგიდგენიათ?

— სამოქალაქო საზოგადოებამ აჩვენა, თუ როგორ უნდა იბრძოლო შენი უფლებების დასაცავად. წინა კვირაში რუსთავში გაიხსნა ჩვენი წარმომადგენლობა. ასევე გვაქვს წარმომედგენლობები ოზურგეთში, ქუთაისში. ყველა პოლიტიკოსი ხომ ვერ გახდება. პირიქით, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ პოლიტიკოსებს, პარტიებს, ვინ იმსახურებს ნორმალურად. იმის მიხედვით მოვთხოვოთ. თუ არ ვიქნებით მომთხოვნი, დამიჯერეთ, მომავალი ხელისუფლებაც წინას მსგავსი იქნება. რაც მთავარია, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება უნდა შედგეს.

---

## თინა ხიდაშელი: ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით აზრები არ გამაჩნია“



თინათინ ხიდაშელი

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერის, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ივანიშვილის კოალიციის წევრები „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები, ასევე კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური პროდასავლური იდეოლოგიის პოლიტიკოსები არიან.

როგორც ხიდაშელმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ამას რამდენიმე დოკუმენტზე ზემოხსენებული პოლიტიკოსების ხელმოწერაც ადასტურებს.

„ეროვნულ ფორუმს“ ხელი აქვს მოწერილი საგურამოს დეკლარაციაზე 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების წინ ლევან გაჩეჩილაძის კამპანიის დროს. იმ დოკუმენტში სხვა არაფერზე არაა საუბარი, თუ არა საქართველოს ევროინტეგრაციაზე. „ეროვნული საბჭო“ აღარ არსებობს, მაგრამ ზვიად ძიძიგურიც და კობა დავითაშვილიც იყვნენ საქართველოს პარლამენტში იმ ფრაქციაში, რომელშიც რესპუბლიკელებიც ვიყავით, ორივე მათგანს როგორც საქართველოს პარლამენტის და ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრებს პირადად აქვს ხელი მოწერილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების დეკლარაციაზე“, — განაცხადა ხიდაშელმა.

„მედიანიუსის“ კითხვაზე არის თუ არა ნინო ბურჯანაძე პროდასავლური იდეოლოგიის მიმდევარი ლიდერი, ხიდაშელმა უპასუხა, რომ მას პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან დაკავშირებით აზრები არ გააჩნია.

მედიანიუსი

---

## ბურჯანაძის პარტია თავისუფალი მედიის დაცვას ითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ დონორ ორგანიზაციებს თავისუფალი მედიის იგნორირებასა და სახელისუფლებო მედიასაშუალებების დაფინანსებაში ადანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძის პარტია ავრცელებს განცხადებას, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:



„მაშინ, როდესაც საქართველოში ხელისუფლება აკონტროლებს პრაქტიკულად ყველა საერთონაციონალურ სატელევიზიო არხს, რეგიონალური ტელევიზიების, ინტერნეტ გამოცემებისა და ბეჭდვითი მედიის დიდ უმრავლეობას, უმძიმეს პირობებს უქმნის და ნორმალურად ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევს ისედაც მცირედ შემორჩენილ რეალურად ობიეტურ მედიასაშუალებებს.

ჩვენს გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დონორი საერთაშორისო ორგანიზაცია საკუთარ ფინანსურ რესურსებს მიმართავს სწორედ ხელისუფლების მიერ მართვად, ისედაც კარგად დაფინანსებულ მედიასაშუალებებისაკენ, რომლებიც პირდაპირ და დაუფარავად ეწევიან არსებული რეჟიმის პოლიტიკის პროპაგანდას თავიანთი დაფარვის არეალში.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გრანტი გამოუყო ახალციხეში მოქმედ ტელეკომპანიას, რომლის მფლობელიც „გაწეული სამსახურისათვის“ ჯერ ადიგენის გამგებელი გახადა სააკაშვილის ხელისუფლებამ, ხოლო დღეს, ის სამხრეთ საქართველოს რეგიონის საგადასახადოს უფროსია, ხოლო დაფინანსების გამოყოფაზე უარი ეთქვა რეალურად დამოუკიდებელ ტელეკომპანია „თრიალეთს“, რომელიც 1990 წლიდან მაუწყებლობს, სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ტერორის ქვეშ იმყოფება და მიუხედავად ამისა ყოველდღიურად შიდა ქართლის მოსახლეობას ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას აწვდის.

„დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც შესაძლებელია ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებისა და რეგიონალურ მედიაში არსებული მდგომარეობის შესახებ არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას, გრანტის გაცემის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ ამა თუ იმ მედიასაშუალების თავისუფლების ხარისხი და ნებსით თუ უნებლიედ ნუ შეუწყობენ ხელს სააკაშვილის ხელისუფლების გეგმას, რომ საქართველოში ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტური მედიასაშუალებების გაქრობით, საბოლოოდ მოისპოს თავისუფალი სიტყვა“.

მედიანიუსი

---

## პაატა ჯიბლაძე: აღიაროს ივანიშვილმა, რა თანხები ჩაურიცხა მერაბიშვილს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ნიშვილი ოპოზიციურ ფლანგზე გამოჩენისთანავე გაემიჯნა ლეიბორისტულ პარტიას და ის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ამხილა.

— ივანიშვილი ლეიბორისტული პარტიის მიმართ სიმართლეს რომ არ აფიქსირებს, ამას რად უნდა სჯაბაასი. 2003-2005 წლებში, როდესაც ჩვენ გამოვდიოდით სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ; როდესაც ჩვენ ვიბრძოდით დიქტატურის წინააღმდეგ; როდესაც სრულ სიმართლეს ვეუბნებოდით მოსახლეობას, მაშინ არა მარტო ბიძინა ივანიშვილი, მასთან ერთად არაერთი პარტია, მისალმებოდა სააკაშვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ და რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის გათქვამი გაიხსენა, როდესაც „მან თავის თვას ბედნიერი უწოდა იმისათვის, რომ დაარბიეს გლდანის ეკლესია“. გაიხსენეთ იგივე სხვა პარტიების ლიდერების განცხადებები, რომლებიც ეთანხმებოდნენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

— იმ პარტიების მიმართ, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში სააკაშვილს გამარჯვება მიულოცეს, რატომღაც ივანიშვილს კითხვები არ გასჩენია. მაგრამ კითხვები გაუჩნდა იმ ერთადერთი ძალის მიმართ, ლეიბორისტული პარტიის მიმართ, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა ადგილობრივ არჩევნებს. არადა, ლეიბორისტული პარტია ყოველთვის იბრძოდა სააკაშვილისგან და ამ დიქტატურისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად, — განაცხადა ბოლოს პაატა ჯიბლაძემ და სასაცილო უწოდა ლეიბორისტების დღევანდელი ოპონენტების განცხადებებს და შეფასებებს როგორც ლეიბორისტულ პარტიასთან, ისე მის ლიდერ — შალვა ნათლაშვილთან მიმართებაში.

# ეროვნულ–დემოკრატიული პარტია 95 წლისაა

თამარ ნინიძე

**რვა თებერვალს, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ეროვნულ–დემოკრატიულმა პარტიამ დაარსებიდან 95 და აღდგენიდან 30 წლის იუბილე აღნიშნა.**

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის დაარსების იდეა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა. 1906 წელს გაზეთ „კავკაზსკოე უტროში" დაიბეჭდა ინფორმაცია ახალი ლეგალური პარტიის შექმნის შესახებ, რომლის მეთაურები არიან თავადი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი. ილიამ საადგილმამულო ქართულ ბანკში ყრილობა მოიწვია, სწორედ ამ ყრილობაზე წარმოადგინა ილიამ ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის შექმნის წინადადება. ისტორიკოსებმა და პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტებმა ქართველი სამოციანელები ანუ თერგდალეულები „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის" ფუძემდებლებად აღიარეს.

ილიას პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებზე თაობები გაიზარდნენ, ეროვნულ–დემოკრატები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟაფშაველას შედევრებიც ამ იდეებით არის დატვირთული. იმ ეპოქის საქართველოში ბევრი ქართველი ბოლშევიკიც იყო, მენშევიკიც, ანარქისტიც, მაგრამ ყველაზე პოპულარული და აღიარებული მოძღვრება, რომელმაც ქართველები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყო, ეროვნული და დემოკრატიული იდეალები იყო.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებში ასეთ მოსაზრებას ვკითხულობთ: „ეროვნულ–დემოკრატიული მიმართულება სუფევს საქართველოში მას აქეთ, რაც საქართველომ იცნო თავი მოტყუებულად რუსეთის მიერ და ნაცვლად პროტექტორატისა და დაცვისა, მოახდინა ანექსია საქართველოსი... ნაციონალ–დემოკრატიული პარტია მომდინარეობს მესამოცე წლებიდან და ამ პარტიის მედროშე არის ილია ჭავჭავაძე."

1917 წლის ზაფხულში დასრულდა ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ერთიან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტში თავდაპირველად შევიდნენ სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, ვასილ წერეთელი, გრიგოლ ვეშაპელი, შალვა ამირეჯიბი, შალვა ქარუმიძე და სხვები. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის იდეოლოგები იყვნენ დიდი ქართველები, რომლებიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, წმინდა ილია მართალი და წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი, ეროვნულ–დემოკრატები იყვნენ სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა ღირსეული ქართველები.

გასული საუკუნის 20–იანი წლებიდან საქართველოში, სამწუხაროდ, ფეხი მოიკიდა სოციალისტურმა იდეებმა, რომლის მქადაგებლები იყვნენ ბოლშევიკები და მენშევიკები. ეროვნულ–დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ სოციალისტურ იდეებს ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავდა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კი რუსეთის წითელმა არმიამ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, მენშევიკებმა, სოციალ–დემოკრატებმა საქართველოდან გაქცევით უშველეს თავს, ეროვნულ–დემოკრატების მხრებზე გადაიარა ბოლშევიკების ულმობელმა რეპრესიულმა მანქანამ, მაგრამ ეროვნულ–დემოკრატები დამპრობლების წინააღმდეგ ქართველების ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ. არა ერთი აჯანყების ხელმძღვანელი იყო ეროვნულ–დემოკრატი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელიც ქართველებმა სრულიად დამსახურებულად ეროვნულ გმირად აღიარეს. იმხანად ციხეში მყოფი სპირიდონ კედია (პარტიის მაშინდელი თავმჯდომარე) მიიჩნევდა, რომ ქაიხოსრო ჩოლიყაშვილს ბრძოლა გაზაფხულზე უნდა განეახლებინა, ამ აზრს იზიარებდა მიხეილ ჯავახიშვილიც, რომელიც ასევე იყო ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი. ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიას საბჭოთა ოკუპაციის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ემიგრაციაში გადასულმა თავმჯდომარემ მიხეილ ქავთარაძემ ასი წლის ასაკში შეძლო საქართველოში დაბრუნება და გიორგი ჭანტურიას გადასცა ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის რეგალიები. ამგვარად ეროვნულ–დემოკრატიულმა პარტიამ უწყვეტად განაგრძო მოღვაწეობა 1981 წლის 8 თებერვლიდან. ედპ, როგორც მას პოლიტიკური ძალები მოიხსენიებენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გასული საუკუნის 80–იან წლებში აქტიურად ჩაება უკვე გიორგი ჭანტურიას თავმჯდომარეობით. არა ერთი საპროტესტო აქციისა და მანიფესტაციის ავტორები იყვნენ ეროვნულ–დემოკრატები, გიორგი ჭანტურიას სოცოცხლეში ამ პარტიამ არნახულ წარმატებას მიაღწია კომუნისტურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. სამწუხაროდ, გიორგი ჭანტურიას ბრძოლა ბოლშევიზმისა და რუსული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.


ბაჩული ქარდავა

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიას მისი თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას გარდაცვალების შემდეგ დიდი ქარტეხილები დაატყდა თავს, პარტიას არც ბრძოლა შეუწყვეტია და არც არსებობა.

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ახლანდელმა თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ პარტიას არასოდეს დაუყენებია პიროვნული ინტერესები სახელმწიფო ინტერესის საპირწონედ, არც არასოდეს დადგება ხელგაწვდილი კრემლის კარზე მოწყალების მისაღებად. დღეს პოლიტიკური რეალობა შეიცვალა, ბოლშევიკური კრემლის ნაცვლად იმპერიალისტური კრემლია, რომელიც საქართველოს დაპყრობას ისევ ცდილობს. შეიცვალა დრო და ადამიანები, თორემ არ შეცვლილა რუსული იმპერიული პოლიტიკა, ამიტომ ედპ თვლის, რომ ქართველებმა კრემლის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გააგრძელონ, საქართველოს ფიზიკური გადარჩენის გზა დასავლეთზეა გადებული, დასავლურ ღირებულებებზე. ეროვნული ანუ პატრიოტული იდეალები და დემოკრატიული ღირებულებები, რომელზეც დაფუძნებულია დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკა, ეს არის ედპ–ს მიზანი.

დღეს, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი რუსული პოლიტიკისადმი დაუფარავ სიმპათიას გამოხატავს, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება იმ ბრძოლას, რომელიც ედპ–მ და ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა წამოიწყეს ახალი ძალით 80–იან წლებში, 1989 წლის 9 აპრილი აღმოჩნდა ქართველების კრემლის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის პიკი. ამიტომ, დღეს, ვინც იაფფასიანი პოპულიზმით ცდილობს დაარწმუნოს ქართველები, რომ თურმე ჩვენი მიზანი რუსულ ბაზარზე ქართული მანდარინისა და ღვინის დაბრუნებაა, მხოლოდ რუსეთის ინტერესებს იცავს და ქართული სახელმწიფოს ინტერესით არ ხელმძღვანელობს. დღეს პოლიტიკოსების ნაწილი ცდილობს საკუთარი ქვეყანა დაადანაშაულოს 2008 წლის აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებულ ომში, არ ითვალისწინებს იმას, რომ რუსეთის იმპერია ცდილობს საქართველო არ გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი, ამიტომაც წამოიწყო რუსეთის ხელისუფლებამ ავანტიურა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და დაასრულა ამ მიწების ოკუპაციით. ეროვნულ–დემოკრატები მიიჩნევენ, რომ არავითარი კომპრომისი არ უნდა მოხდეს რუსეთის ხელისუფლებასთან, მხოლოდ დეოკუპაციის მოთხოვნა უნდა იყოს საქართველოს მოლაპარაკების თემა რუსეთთან.

ბაჩუკი ქარდავას თქმით, ედპ–ს კიდევ არა ერთი პოლიტიკური ბრძოლის გადატანა მოუწევს, ისევ საზოგადოების მორიგი პოლარიზების თავიდან ასაცილებლად. ედპ–მ თავისი თითქმის ასწლიანი არსებობის შედეგად დაამტკიცა, რომ უწყვეტად მოძრაობს წინ, ახლაც საზოგადოების პოლარიზების მცდელობის საწინააღმდეგოდ არასწორად მიაჩნია საზოგადოების „ჩემიანად" და „სხვისიანად" დაყოფა. ერთ მხარეს დგას ხელისუფლება თავისი უზარმაზარი სახელისუფლებო ბერკეტებით, ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბებითა და არასწორი სოციალ–ეკონომიკური პოლიტიკით, მეორე მხარეს კი დგას მისივე მილიარდებით აღჭურვილი ანარეკლი.

პირველი და მეორე პოლუსის ფონზე კიდევ არის სახიფათო ტენდენცია, რომ შეიქმნას ე.წ. მესამე პოლუსი იგივე მეხუთე კოლონის მიერ, ქარდავას თქმით, ეს არის „მეორე პოლუსის პარაშუტი", ანუ დამხმარე ძალა, ისინი უკვე ცდილობენ შუის გაკრეფას ანუ იმ ძალების პოლიტიკური ცხოვრებიდან ამოკვეთას, ვინც მეხუთე კოლონის მიზნებს არ იზიარებს.

„ეს არის ცრუ პოლიტიკური ალტერნატივა. ძალაუფლების მოპოვების სურვილი და ოცნებების ოლიგარქია, რომელიც არა რეალური ცვლილებებისაკენ, არამედ პოლიტიკურ და ფინანსურ სივრცეში საკუთარი მსუყე ადგილის დაკავებისთვის მიისწრაფის. ჩვენ კი ვთავაზობთ საზოგადოებას გზას, რომელსაც გია ჭანტურია „მესამე გზას" უწოდებდა. ეს არის ურთულესი გზა, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც ჩიხში არასოდეს მოვხვდებით", – აცხადებს ბაჩუკი ქარდავა.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების დაპირისპირების დროს ეროვნულ–დემოკრატებს მესამე პოზიცია ეკავათ, ზვიად გამსახურდიასა და დანარჩენი მასთან დაპირისპირებული საზოგადოების ფონზეც მესამე გზის მიმდევრები იყვნენ, ასე იყო ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის, შევარდნაძისა და სააკაშვილის დაპირისპირების დროს, ახლაც ასეა. ეროვნულ–დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ ეს ყველაზე სწორი მიმდინარეობაა, რომელსაც წარმოადგენენ დასავლეთზე ორიენტირებული ზომიერი ცენტრისტული პოლიტიკური პარტიები. საზოგადოებაშიც ამ მიმდინარეობას სოლიდური მხარდაჭერა აქვს.

თუმცა ბევრი რამ შეიცვალა და საზოგადოებაც აღარ არის გამოუცდელი, შუის გაკრეფის საშუალებას არავის მისცემს. ეროვნულ–დემოკრატები მიიჩნევენ, რომ მესამე გზის მიმდევრებისთვის საქართველო წინ გახედვა და პროგრესისთვის ბრძოლაა. ეროვნულ–დემოკრატ გურამ ჩახვაძის თქმით, ედპ ეროვნულ და დემოკრატიულ იდეალებთან ერთად კვლავ იქნება კერძო საკუთრების დამცველი და ყოველი ქართველის კეთილდღეობაზე მზრუნველი ორგანიზაცია. ბოლშევიკური დევიზი „გაძარცვე ნაძარცვით" ანტიადამიანური მოწოდებაა, მას ედპ უპირისპირებს ილიასა და მისი მიმდევრების დევიზს: „გამდიდრდი შრომით". ეროვნულ-დემოკრატები დღეიდან საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის აქტიურ კამპანიაში ერთვებიან, ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღონ თავზე და პოლიტიკური ხელშეკრულება დადონ საკუთარ ხალხთან.

# რუსეთში ქართველებს მასობრივად აღარ დევნიან

ქეთი ხომერიკი

რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის ბიუროს დირექტორმა, ალექსანდრე ბროდმა საზოგადოებას 2011 წლის მოხსენება გააცნო. ანგარიშის თანახმად ცნობილი ხდება, რომ 2011 წელს რუსეთში ქსენოფობიისა და ექსტრემიზმის გამოვლინებას კვლავ ჰქონდა ადგილი. რუსეთისთვის ძლიერ საშიში რამის გამომწვევი მიზეზები არსად გამქრალა და ხშირად ახსენებს ქვეყანას თავს – ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა, დასაქმების პრობლემები, მიგრაციული კონტროლის პრობლემები, ტერიტორიული აქტიურობები ჩრდილო კავკასიაში, მთავრობის მზად არყოფნა ამ საფრთხეების ალმოსაფხვრელად და ხალხში პროტესტის განწყობის ზრდა ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი მრავალი კორუფციული ფაქტის გამო. კვლავ ადგილი აქვს ახალგაზრდებში ქსენოფობიურ განწყობებს. ასევე გრძელდება ნაციონალური განწყობების გავრცელება და მსგავსი ორგანიზაციების რიცხვმაც საგრძნობლად იმატა. ამასთანავე გრძელდება პროვოკაციული ინფორმაციების გავრცელება, რომელიც იწვევს არაჯანსაღ ნაციონალურ განწყობებს და კვლავ არის არაადეკვატური და არაოპერატიული მოქმედებები ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქსენოფობიურ და ნაციონალისტურ გა-



მოვლინებებზე იმოქმედა შემდეგმაც – დარბევამ ინგლისში და ანდრეს ბრეივიკის მიერ მოწყობილმა ტერაქტმა ნორვეგიაში, ასევე პერიოდულმა გამოხტომებმა ნაციონალ-პოპულიზმისა ევროპულ ქვეყნებში. აი, ამ ყველაფერმა გამოიწვია რადიკალური ნაციონალისტური გაერთიანებების რიგებში ამის გამოცოცხლება.

,,ლევადა ცენტრის" მონაცემებით, რუსეთში 2002–20011 წლებში ორჯერ გაიზარდა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ნაციონალიზმის ძირითად საფუძვლად თვლიან – ,,გამომწვევ ქმედებას, ამა თუ იმ ნაციონალისტების წარმომადგენლებისა". ამასთან, მოსკოვის პროკურატურის მონაცემებით მაღალკლასელების მეოთხედი თავისი თანატოლებისა და უფროსი ამხანაგების ნაციონალისტურ ქმედებებს იწონებს. 2011 წლის ოქტომბერში ,,სმი"-ის გამოკითხვის თანახმად, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების შეკვეთით ჩატარდა, გამოჩნდა, რომ რესპონდენტების 35 % მხარს უჭერს ადგილობრივ ნაციონალისტებსა და მათ ქმედებებს.

მოსკოვის ბიუროს ადამიანის უფლებათა დაცვის მონაცემების თანახმად ( ,,მბპჩ") 2011 წელს აგრესიული ქსენოფობიის მიზეზით თავდასხმა-შეჯახების 110 შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც 31 ადამიანი დაიღუპა, 120 კი დაშავდა. ეს მოხდა მოსკოვში, დაღესტანში, სანკ-პეტერბურგსა და სხვადასხვა ქალაქებში. თავდასხმის მსხვერპლათა შორის იყვნენ: დაღესტნელები, სომხები, უზბეკები, ყირგიზები, ტაჯიკები, ქათველები, თურქები, ჩეჩნები. 81 დაღუპულის გამოცნობა კი ვერ მოხერხდა.

2010 წელს კი 193 თავდასხმის ფაქტი დაფიქსირდა, რის შედეგადაც 46 ადამიანი დაიღუპა, 299 კი დაშავდა. 2009 წელს თავდასხმის 216 შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც 83 ადამიანი დაიღუპა, 341 კი დაშავდა. ,,ახალმა თაობამ" ალექსანდრ ბროდს რამდენიმე კითხვით მიმართა.

**ალექსანდრ ბროდი:**

– როგორც ხედავთ, წინა წლებთან შედარებით თავდასხმები შემცირდა. დინამიკა მსგავსი ინციდენტების შემცირებისა კი სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობასთანაა კავშირში, რაც, ბუნებრივია, მისასალმებელია, თუმცა ბოლო გამოკითხვების თანახმად ქსენოფობიური განწყობები სულ უფრო მეტად მოიცავს საზოგადოების დიდ ნაწილს.

***– რა არის ამის მიზეზი?***

– კვლავ აქტუალურია სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ბევრი პრობლემაა ამ მხრივ და შესაბამისად, იზრდება საპროტესტო განწყობებიც. ხალხი ვერ პოულობს თავის ადგილს დღევანდელ რეალობაში, არსებობს თვითრეალიზაციის პრობლემები, ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები და სხვა.

***– მედვედევის ხელისუფლება რას აკეთებს ამ პრობლემების მოსაგვარებლად?***

– ხელისუფლება თითქოსდა, რეფორმებს ატარებს, თუმცა, სინამდვილეში, ეს რეფორმები არ ხორციელდება და ამიტომ, რა თქმა უნდა, ობივატელი სვამს კითხვას – ვინ არის ამაში დამნაშავე? და საზოგადოების ეს საპროტესტო ენერგია და განწყობა ხშირ შემთხვევაში ჩამოსულ ხალხზე აისახება ხოლმე – კავკასიელებზე, აზიელებზე და ა.შ. ადგილობრივებს აგრესიული განწყობები, სამწუხაროდ, მათზე გადააქვთ ხოლმე.

***–კონკრეტულად ქართველების მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ რუსებს, განსაკუთრებით ხომ არ ერჩიან?***

– ახლა, მადლობა ღმერთს, რომ აღარ ხდება ქართველების მასობრივი დისკრიმინაცია და დევნა, როგორც ეს იყო წინა წლებში იყო, განსაკუთრებით, 2008 წლის ომის შემდეგ პერიოდში. ახლა მხოლოდ მუდმივი კრიტიკა გაისმის თქვენი პრეზიდენტის მისამართით, მაგრამ ისე აღარ არის, რომ ქართველები ხურავდნენ თავიანთ რესტორნებს, მაღაზიებს და გარბოდნენ აქედან. დღეს მხოლოდ შეურაცხმყოფელი რიტორიკაღა გაისმის ქართველების მისამართით, თუმცა ეს საერთო დამოკიდებულებაა, ზოგადად ემიგრანტების მიმართ.

# ლაშა ბუღაძის ნავიგატორი“ გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ თანამედროვე ქართული მწერლობის მოყვარულებს კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა — გამომცემლობამ ლაშა ბუღაძის ნამუშევარი „ნავიგატორი“ გამოსცა. ახალი წიგნის წარდგინება 7 თებერვალს თიბისი გალერეაში მოეწყო, რომელსაც მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლები, კოლეგები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წარმომადგენლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე ლაშა ბუღაძემ თავად წაიკითხა ნაწყვეტები პიესიდან და პრეზენტაციის დასასრულს შედგა დიალოგი გამომცემლობის დირექტორთან და პიესის მთარგმნელთან.**

ლაშა ბუღაძის გახმაურებული პიესა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა. „ნავიგატორი“ ბი-ბი-სი-ს რადიოპიესების მსოფლიო კონკურსის გამარჯვებულია. 2011 წლის შემოდგომაზე პიესამ ბიბისისა და ბრიტანეთის საბჭოს თაოსნობით გამართულ რადიო-პიესების კონკურსში გაიმარჯვა, ამავე წლის ბოლოს დაიდგა ბიბისის რადიოში და მასში ბრიტანელმა მსახიობებმა მიიღეს მონაწილეობა.

რადიო დრამას „ბიბისის“ ისტორიაში საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ამ ფორმატისთვის სპეციალურად ჩაწერილი პირველი პიესა, რიჩარდ ჰიუზის „საფრთხე“ ბიბისის მაუწყებლობით პირველად 1924 წელს გავიდა. დღეს კი, ყოველწლიურად ასობით რადიოპიესა ბიბისის სამი მთავარი არხის საშუალებით გადაიცემა. ამ კონკურსში პირველი ნაბიჯი 2007 წელს ლაშა ბუღაძემ გადადგა. მომდევნო წელს მისი წამოწყება ბასა ჯანიკაშვილმა გააგრძელა. ორივე პიესა შორთ-ლისტში მოხვდა, თუმცა საუკეთესოდ არ დასახელებულა. გასულ წელს კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1000 კონკურსანტი პიესიდან, ბუღაძის „ნავიგატორი“ ჯერ რჩეულ 14 პიესაში მოხვდა, შემდეგ კი მთვარი პრიზიც მიიღო.

როგორც წიგნის პრეზენტაციაზე მყოფმა მწერალმა ბასა ჯანიკაშვილმა გვითხრა, პიესა „ნავიგატორი“ ტრაგიკომედიაა, რომელიც ადამიანის გაუცხოებასა და მარტოობაზე მოგვითხრობს. რადიოპიესის ფორმით დაწერილი დრამის აბსურდულობამდე მისული, ამავდროულად, რეალური სიუჟეტი დინამიკურად ვითარდება და ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.

— ადამიანის მარტოობის მარადიულ თემას, მრავალგვარ ინტერპრეტაციათა შორის, ტექნოლოგიური ეპოქის ლიტერატურა ხშირად გამოგონილ არსებებთან და მანქანა-რობოტებთან ურთიერთობაში ასახავს. თუმცა, თუკი რამდენიმე ათეული წლის წინ ეს სამეცნიერო ფანტასტიკის თემა უფრო იყო, ლაშას „ნავიგატორის“ შთაგონების წყარო თანამედროვე ეპოქის რეალური ადამიანის ცხოვრებაა. თანაც, როგორც ლაშა ამბობს, უნდოდა „ადამიანების და რობოტების დაპირისპირების“ ტრადიციულ, კლასიკურ ფორმატს გასცდენოდა. როგორც ჩანს, ბრიტანელი ჟიურისთვისაც სწორედ ეს აღმოჩნდა ყველაზე საინტერესო და მჯერა, რომ ლაშას ეს პიესა ქართველ მკითხველსაც მოეწონება, — განაცხადა ბასა ჯანიკაშვილმა.

ჟიურის 2011 წელს ათასამდე პიესის წაკითხვა მოუწია. ფინალში დარჩა პიესები ინდოეთიდან, ბრაზილიიდან, ჩინეთიდან, ისრაელიდან, უგანდიდან, განიდან, საქართველოდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ავსტრალიიდან, კენიიდან, ახალი ზელანდიიდან, მონტენეგროდან და კანადიდან. გამარჯვებულ პიესად ქართული „ნავიგატორის“ გარდა აღიარეს ჩინეთში მცხოვრები ბრაზილიელი მწერ-ლის ფერნანდა აფონსო დე ანდრე ჯაბერის „ველური მეზობელი და მოწადინებული ლაჩარი“.

გამარჯვებული ავტორები 2011 წლის შემოდგომაზე ლონდონის ისტორიული თეატრის „გლობუსის“ სცენაზე დააჯილდოვეს. საერთაშორისო კონკურსი გასულ წელს 22-ედ ჩატარდა. საუკეთესო რადიოპიესების გამოსავლენად „ბიბისი“ ყოველწლიურად ონლაინ რეჟიმში საერთაშორისო კონკურსს მართავს, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. „ბიბისი“ უცხოენოვანი ქვეყნების ასობით პიესას არჩევს და ორ გამარჯვებულს მთავარი პრემიით აჯილდოვებს. საუკეთესო პიესებს ბიბისის სტუდიაში წერენ ბრიტანელი მსახიობების მონაწილეობით და წლის განმავლობაში თავის ეთერში რამდენჯერმე გადასცემენ. ბიბისის რადიოს მსოფლიოში ყოველდღიურად 40 მილიონი მსმენელი ჰყავს.

ლაშა ბუღაძის „ნავიგატორის“ რადიოპრემიერა ბიბისის ეთერში 2011 წლის დეკემბერში შედგა. როგორც დრამატურგმა და ჟიურის წევრმა როი უილიამსმა განაცხადა, „ლაშა ბუღაძის „ნავიგატორმა“ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დრამატურგის თქმით, მას სჯეროდა, რომ ქართველი მწერლის პიესა აუცილებლდა გაიმარჯვებდა.

— პიესის იშვიათად ცოცხალი ხასიათები, უაღრესად სასაცილო სიტუაციები და ძალზე ორიგინალური დრამატურგიული ხერხის მიგნება მის ქმნილებას დასამახსოვრებლად აქცევს. რაც მთავარია, ეს არის რადიოპიესების კონკურსი და ეს ჟანრი მოითხოვს სულ სხვა სპეციფიკას, რასაც ქართველმა ავტორმა ოსტატურად გაართვა თავი, — განაცხადა როი უილიამსმა. მაღალი შეფასებები მისცეს ლაშა ბუღაძის პიესას ჟიურის სხვა წევრებმაც. „ბიბისიმ“ და კონკურსის ჟიურიმ, რომელშიც ცნობილი მწერლები, დრამატურგები და მსახიობები იყვნენ გაერთიანებული, ლაშა ბუღაძის გამარჯვებულ პიესას „შავი კომედია“ უწოდა. ჟიურის წევრების მტკიცებით, ქართველი მწერლის პიესაში მარტოობის და ბედნიერების სიმულაციის მცდელობის ხილული ფორმაა მოძებნილი.

— ამ კონკურსის შესახებ გავიგე ბრიტანეთის საბჭოს თბილისის ოფისიდან და პიესა კონკურსზე გავაგზავნე. ჩემი პიესა „შორთ ლისტში“ აღმოჩნდა. ძალიან გახარებული ვიყავი და მართალი რომ გითხრათ, არ მოველოდი, რომ გავიმარჯვებდი. ამის შემდეგ ბიბისიდან დამიკავშირდნენ და ინტერვიუც ჩაწერეს. ეს გამარჯვება არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ, ცხადია, ჩემი კოლეგებისთვისაც და ქვეყნისთვისაც ძალიან კარგია, — ამბობს ლაშა ბუღაძე.

გამარჯვებული პიესის ინგლისური თარგმანის ავტორი მაია ყიასაშვილია, რომელსაც ინგლისური ენის კატეგორიის პრიზიც გადასცეს. პიესის ჩაწერას რადიო „ბიბისიმ“ ორი კვირა მოანდომა და ორი კვირის განმავლობაში ლაშა ბუღაძე ლონდონში მათ გვერდით იმყოფებოდა.

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:**

— ერთი კვირის განმავლობაში წერდნენ ჩემს პიესას და ორი კვირის განმავლობაში ლონდონში ვიყავი. იქ სხვანაირი დამოკიდებულებაა, თითოეულ დეტალს გითანხმებენ და გეკითხებიან ბრიტანელი რეჟისორები. ესაა მოსასმენი პიესა, თუმცა შეიძლება სცენაზეც განხორციელდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ბიბისიზე“ გავიდოდა. მანამდე მე არც გამოქვეყნების უფლება მქონდა და არც წარმოდგენის.

***— რამ გიბიძგათ ეს პიესა დაგეწერათ?***



— მანქანაში ვიჯექი, როცა ნავიგატორის ხმა გავიგონე. მაშინ ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ამაზე პიესის დაწერა და კონფლიქტის განვითარება.

***— რაზეა თქვენი პიესა?***

— ეს არის ადამიანზე, რომელსაც ყავს მანქანა ნავიგატორით. მოგეხსენებათ, მანქანებში არის ნავიგაციის საშუალება, ნავიგატორი, რომელსაც შეუძლია ლაპარაკი შენთან და რომელიც მიგითითებს გზას — მარცხნივ გაუხვიე, მარჯვნივ და ასე შემდეგ. რამდენჯერმე ვიყავი უცხოეთში და ერთი ჩემი მეგობარი ისეთ მოწყენილ ქალაქში ცხოვრობს, რომ ერთდარეთი მისი მეგობარი ეს მანქანის ნავიგატორი იყო. გადავწყვიტე, რომ დამეწერა ასეთ რაღაცაზე პიესა, სადაც რეალურად ადამიანის ერთადერთი და რეალური მეგობარი ნავიგატორია. რომანიც კი უჩნდებათ მათ ერთმანეთთან — მანქანის პატრონსა და ნავიგატორს. აი, ამაზეა პიესა, თუმცა მხოლოდ ამაზე არა.

***— აბა, კიდევ რაზეა ეს პიესა?***

— ესაა პიესა ადამიანზე, რომელსაც გარკვეული კომპლექსები აქვს, ფუნქცია აქვს დაკარგული და ეს „ადამიანი“, ეს ხმა, რომელიც ესმის ამ მანქანში და უთითებს მას გზის მიმართულების შესახებ, არა მხოლოდ გზაზე უთითებს, არამედ ცხოვრებაზეც. ორი სიტყვით, ბანალურად ასეა. ძალიან რთულია ასე მოყოლა, რომ წაიკითხავთ, ყველაფერს უფრო კარგად მიხვდებით.

***— რას ნიშნავს თქვენთვის ეს პრიზი?***

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთელი საქართველოს გამარჯვებაა. ჩემმა წარმატებამ, მსგავს კონკურსებში მონაწილეობის სტიმული სხვა დრამატურგებსაც აუცილებლად უნდა მისცეს და იმ ფონზე, როდესაც ჟანრი საქართველოში ერთგვარ კრიზისს განიცდის, მნიშვნელოვანია, რომ ავტორებმა კარგად მოყოლილი სიუჟეტის მიღმა, ახალი იდეების ძიებას და თეატრალურ ენაზე ფიქრს მეტი დრო დაუთმონ.

**თამარ კირვალიძე, თიბისი ბანკის წარმომადგენელი:**

— თიბისი გალერეაში ნამდვილად ორიგინალური და საინტერესო საღამო მოეწყო. ლაშა ბუღაძემ თავად წაიკითხა ნაწყვეტები თავისი ახალი პიესიდან, რომლის გამოქვეყნების უფლებაც ბიბისის რადიოში ჩაწერამდე არ ჰქონდა. შეკრებილმა საზოგადოებამ დიდი ინეტერესი გამოთქვა და იმედს ვიტოვებთ, რომ ლაშას სხვა მწერლებიც მიბაძავენ და არაერთ საინტერესო პიესას შექმნიან.

**ბასა ჯანიკაშვილი, მწერალი:**

— ლაშას „ნავიგატორი“ ნამდვილად არის ორიგინალური და საინტერესო პიესა. ამ პიესაში საკმაოდ ორიგინალური და სასიამოვნო გადაწყვეტის ხერხია მოძებნილი, სადაც ნავიგატორი გეუბნება საით უნდა წახვიდე და რა გზას უნდა მიმართო მაშინ, რცოა დაბნეული ხარ. დიდი ინტერესით ელოდა ქართველი საზოგადოება ბიბისის გამარჯვებული პიესის გამოქვეყნებას და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ეს სურვილი ყველა წიგნის მოყვარულს აუსრულა.


## SMS-განცხადებები - 3090

● დავიქირავებ ძროხების (18 სული) მომვლელს, გლდანის ციხიდან 7-8 კმ, ხელსაყრელ პირობებში. 591-40-91-31.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# ანდრეუ: ვიცი, რა ტრადიციების მქონე გუნდის მაისურით მომიწევს თამაში“

თბილისის „დინამოს“ ესპანელი ახალწვეული ანდრეუ გერაუ მაიორალი, რომელსაც ესპანეთის პრიმერა დივიზიონი „ხიხონის“ შემადგენლობაში აქვს დაჭაშნიკებული, თბილისში იმყოფება. მისი პირველი კომენტარი გუნდის შესახებ „დინამოს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.



**ანდრეუ:**

– ბარსელონაში და მალაგაში უკვე გუნდთან ერთად ვიყავი. ამ პერიოდში ბევრი რამ გავიგე თბილისის „დინამოს“ შესახებ. რაც შეეხება თბილისს, ჯერ ფაქტობრივად არ გავცნობივარ, არადა, ბევრი კარგი მსმენია. თბილისში მე და ჩემი ორსული მეუღლე ვართ ჩამოსული. გუნდის კაპიტნის დამსახურებით ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. მართალია, ენის ბარიერი მაქვს, მაგრამ ფეხბურთელებთან ინგლისურ ენაზე საუბარს ვახერხებ. ქართული ენის შესწავლას ვცდილობ. საწვრთნელი ბაზა და ის ინფრასტრუქტურა, სადაც „დინამო“ ემზადება, ძალიან მომეწონა. ვიცი თუ რა ტრადიციების მქონე გუნდის მაისურით მომიწევს ასპარეზობა და ეს პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მმატებს. ბუნებრივია, სატურნირო ცხრილს გავეცანი და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობა იოლი მისაღწევი არ იქნება. თუმცა, მე ყველანაირად ვეცდები ჩემი წვლილი შევიტანო გუნდის წარმატებაში და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას შევეცდები. „დინამოში“ გადმოსვლამდე ახალი ზელანდიისა და ოკეანიის საუკეთესო გუნდში, „ოკლენდ სიტიში“ ვთამაშობდი. ამ გუნდთან ერთად მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე ვიასპარეზე, მაგრამ მაინც ევროპაში დაბრუნება ვარჩიე. ახალ ზელანდიაში ფეხბურთთან შედარებით რაგბი და კრიკეტი დიდი პოპულარობით სარგებლობს და საფეხბურთო ქვეყანად არ ითვლება. საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს „ხიხონთან“, როგორც სპორტულ, ასევე პირადულ ჭრილში. ამ გუნდში ოთხი წელი გავატარე. „ხიხონში“ ასპარეზობისას პრიმერადივიზიონის საგზურიც მოვიპოვეთ, რაც ჩვენთვის დიდი წარმატება იყო. ამასთანავე ჩემი მეუღლეც ხიხონიდან არის და შესაბამისად ეს ქალაქი სამუდამოდ იქნება ჩემს მოგონებებში.

# კრიშტიანუ რონალდუს მანქანები და ტანსაცმელი ხიბლავს

სულ ახლახან, მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელ ვარსკვლავს, კრიშტიანუ რონალდუს, 27 წელი შეუსრულდა. ამის აღსანიშნავად, მან საკუთარ თავს ბევრისთვის საოცნებო საჩუქარი გაუკეთა. უცხოურ გამოცემებზე დაყრდნობით, პორტუგალიელი „ლამბორჯინი ავენტადორ ლპ 700-4“ -ის მფლობელი გახდა. ამ მანქანის ღირებულება 340.000 ევროს შეადგენს.

თუმცა, ავტმობილების გარდა მისთვის ასევე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა და ლამაზი ტანსაცმელი.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ცხადია, ჯანმრთელობა ჩემთვის, როგორც ნებისმიერი სხვა სპორტსმენისთვის ფუნდამეტურია, მაგრამ ყურადღებას არ ვამახვილებ მხოლოდ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებზე. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს კარგი გენი და კარიერის მანძილზე მცირე დაზიანებები მივიღე. კვირაში რამოდენიმეჯერ დავდივარ სპორტულ დარბაზში, ვიკვებები სწორად, ვიძინებ დროულად და ვეწევი ჯანსაღი ცხოვრების წესს. ყოველივე ეს აუცილებელია, რათა კარგ ფორმაში იმყოფებოდე და მაღალი ხარისხის თამაში აჩვენო მაყურებელს. რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ფეხბურთის თამაში. თუმცა მოხარული ვარ, როცა მაქვს შვებულება. ეს ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ფიზიკური ვარჯიშები. სეზონის განმავლობაში ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვარჯიშობს, ასე რომ, მცირე შესვენებები საშუალებას გვაძლევას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გავატაროთ დრო. მე არასოდეს მწყინდება არდადეგები. ვაკეთებ ისეთ რაღაცებს, რასაც ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, უბრალოდ განვიტირთო დაძაბულობისგან. გარეგნობაზე ზრუნვას დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ფეხბურთის შემდეგ. მოხარული ვარ, როდესაც ფოტოებში კარგად გამოვიყურები. შესაძლოა, ზოგიერთ ადამიანს არ მოსწონს ჩემი გარეგნობა. ვიმედოვნებ, ადამიანებს შეუძლიათ სხვისი აზრის პატივისცემა. მე არ შევიცვლები სხვების სიამოვნებისთვის. მომწონს, როდესაც ვატერებ ლამაზ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ყოფნის დროს კოლეგებისგან ხშირად ვიღებდი სასიამოვნო კომპლიმენტებს. უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ გარეგნობზე ზრუნვას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ ყველაზე კარგად მე გამოვიყურებოდი. შეიძლება, დილით ერთი საათი მოვანდომო იმაზე ფიქრს, თუ რა უნდა ჩავიცვა სახლიდან გასვლამდე.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

საუთჰემპტონი-მილუოლი ........... 2:3
უენსდი-ბლექპული ..................... 0:3

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-პორთსმუთი ............ 1:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბილბაო-მირანდესი ..................... 6:2

**გერმანია. თასი**

კილი-დორტმუნდი ....................... 0:3

**საფრანგეთი. თასი**

რენი-ევიანი ................................. 3:2

**პორტუგალია. თასი**

ოლივეირენსე-აკადემიკა ............ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანფერმლაინი-კილმანროკი ....... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 24 | 19 | 2 | 3 | 48:16 | 59 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 18 | 4 | 3 | 47:14 | 58 |
| 3.მოზერველი | 24 | 12 | 5 | 7 | 31:29 | 41 |
| 4.ჰართსი | 24 | 10 | 5 | 9 | 30:18 | 35 |
| 5.სტ.ჯონსონი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:27 | 35 |
| 6.აბერდინი | 25 | 7 | 8 | 10 | 27:30 | 29 |
| 7.კილმანროკი | 24 | 6 | 10 | 8 | 28:35 | 28 |
| 8.დანდი | 24 | 6 | 9 | 9 | 33:38 | 27 |
| 9.სტ.მირენი | 25 | 6 | 9 | 10 | 25:36 | 27 |
| 10.ინვერნესი | 24 | 7 | 5 | 12 | 30:40 | 26 |
| 11.ჰიბერნიანი | 24 | 4 | 6 | 14 | 24:45 | 18 |
| 12.დანფერმლაინი | 25 | 4 | 6 | 15 | 27:54 | 18 |

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-იუტა ........................ 104:99
ბოსტონი-შარლოტი ................ 94:84
მაიამი-კლივლენდი ............... 107:91
მილუოკი-ფინიქსი ................ 105:107
მინესოტა-საკრამენტო ............ 86:84
გოლდენ სტეიტი-ოკლაჰომა ... 116:119

## ჩოგბურთი

**ვტა. პარიზი. ხალიჩა**

ბარტელი-ზაჰლავოვა ........... 6:3;6:2
ცეტკოვსკა-ბრიანტი ............ 6:3;6:3
ლი-პირონკოვა ..................... 6:7;2:6
კერბერი-შაფარჟოვა ............ 6:2;7:6
გერგესი-პირი ....................... 6:1;6:3
სჰეპერსი-ჰერცოგი ............... 6:2;6:2
არნი-მატრიჩი ....................... 4:6;4:6

**ვტა. პატაია. პარი**

ციბულკოვა-კეტავონგი ........ 4;6;1;6
ჩჟენი-შუვეი ......................... 3:6;2:6
მორიტა-მირზა ................ 6:3;1;6;2;6
პანტუჩოვა-ვანასუკი ............ 6:2;6:0
კირილენკო-დელაკუა ..... 4;6;7:6;6:3
რადვანსკა!უ.-პივოვაროვა ... 6:4;6:1
კირსტეა-დოი ........................ 6:2;6:2
ჩანგი-ტანასუგარნი .............. 6;7;3:6

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ფლორიდა ............... 4:0
კოლამბუსი-მინესოტა ................ 3:1
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი ............... 0:1
ფილადელფია-აილენდერსი .. 0:0(0:1ბ)
მონრეალი-პიტსბურგი ........ 2:2(1:0ბ)
ოტავა-სენტ ლუისი .................... 1:3
ტამპა ბეი-ლოს ანჯელესი .......... 1:3
ნეშვილი-ვანკუვერი ........... 3:3(0:1ბ)
ვინიპეგი-ტორონტო .................. 2:1
დალასი-ფინიქსი ....................... 1:4
კოლორადო-ჩიკაგო .................. 5:2

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ფუტსალში სკანდალია – გამგეობის წევრები პრეზიდენტის გადაყენებას ითხოვენ

ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები, გამგეობის წევრები, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები, კლუბების წარმომადგენლები ასოციაციის გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევას და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვენ. მათგან წერილი მივიღეთ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.



ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად სიჭინავას და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ბატონ ლადო ვარძელაშვილს

ბატონებო,

წარმოგიდგენთ ამონარიდს საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის, გაიოზ ფხოველიშვილის წინასაარჩევნო პროგრამიდან (მუქი შრიფტით – რეალურად არსებული მდგომარეობა):

1. ეროვნულის გარდა იარსებებს ასაკობრივი ნაკრებები: 21, 19, 17, 15.

– არათუ შექმნილა, გაუქმდა არსებული 21-წლამდელთა ნაკრებიც. დანარჩენ ასაკობრივ ნაკრებებზე ლაპარაკიც არ არის.

2. მზად ვართ, საწყის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, გავუწიოთ ფინანსური დახმარება ადგილობრივ კლუბებს (საკუთარი სახსრებით დავუნიშნოთ მწვრთნელებს ხელფასები).

– არათუ გუნდების მწვრთნელების ფინანსური დახმარება, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი დატოვეს უმუშევრად.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონალური ასოციაციების შექმნას და მხარდაჭერას.

– არც ერთი არ შექმნილა.

4. ჩატარდეს მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობა მწვრთნელთა მოსაწვევად და მოხდეს მათი ტესტირება და განათლების დონის განსაზღვრა.

– არ მოუწვევიათ.

5. შეიქმნას ფუტსალში ისეთი სამუშაო ფონი, რომ მოხდეს ინვესტიციების აქტიური მოზიდვა.

– ორ წელიწადში მოზიდულია 0 ლარი.

6. მხარდაჭერილ იქნას ფუტსალის ქალთა გუნდების შექმნა და ჩემპიონატის ჩატარება.

– გაუქმდა კაცთა ჩემპიონატიც.

7. შეიქმნას და მხარდაჭერილ იქნეს საშეჯიბრო სისტემა, ვეტერანებს შორის.

– არ შექმნილა.

8. სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნას ერთიანი საშეჯიბრო სისტემა.

– არ შექმნილა.

9. აუცილებელია ჩემპიონატის გეოგრაფიის გაზრდა, რათა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღონ რეგიონების გუნდებმაც.

– რეგიონების გუნდების უმრავლესობა გაუქმდა.

10. ჩემპიონატი ჩატარდება კალენდრის შესამაბისად.

– გაუქმებულ ჩემპიონატს კალენდარი ვერ ექნება.

11. დაიწყება მიზანმიმართული მუშაობა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

– არ დაწყებულა.

12. მომდევნო (2011 წლის) ეროვნულ ჩემპიონტში მონაწილეობის მისაღებად მოვიზიდავთ ახალ გუნდებს.

– გუნდების რაოდენობა ჯერ შემცირდა ათიდან ხუთამდე, შემდეგ კი ჩემპიონატი საერთოდ გაუქმდა.

13. 2010 წლის აპრილიდან ჩატარდება ტურნირი თბილისის საფეხბურთო სკოლებს შორის.

– არ ჩატარებულა. გაუქმდა ასოციაციასთან არსებული ფუტსალის სკოლა.

**დარღვევები ასოციაციის საქმიანობაში**

1. არ ჩატარებულა გამგეობის არც ერთი სხდომა, რაც წესდების დარღვევაა.

2. გამგეობაზე არ განხილულა ბიუჯეტი, რაც წესდების დარღვევაა.

3. არ განხილულა აპარატის შემადგენლობა გამგეობაზე, რაც წესდების დარღვევაა.

4. არ დანიშნულა გამგეობაზე ნაკრების მწვრთნელი, რაც წესდების დარვევაა და შესაბამისად, გამგეობას მასთან კონტრაქტი არ დაუმტკიცებია.

5. ფინანსური საქმიანობა სრულიად ბურუსითაა მოცული.

6. არ არსებობს არც ერთი კომიტეტი.

7. საქართველოს ჩემპიონატი გაუქმებამდე ტარდებოდა გაურკვეველი პირების მიერ და ჩემპიონატის ხარჯები ბურუსითაა მოცული.

8. ნაკრების ფინანსური ხარჯები არც ერთხელ არ განხილულა გამგეობის სხდომაზე, რაც წესდების დარღვევაა.

9. უეფას, სპორტის სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი ფინანსები გაურკვეველი დანიშნულებით განიკარგება გამგეობის გვერდის ავლით.

10. სპორტის სამინისტროს მიერ ნაკრებისთვის გამოყოფილი თანხები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენება – სამინისტრო აფინანსებდა ეროვნული ნაკრების შეკრებებს დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე, სინამდვილეში კი ნაკრების მაგივრად შეკრებას გადიოდა კლუბი „ალგო“, რომლის დამფუძნებლებიც არიან ასოციაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

11. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაალ ჩიტალაძე ითხოვს ხელფასიდან პროცენტს ფეხბურთელებისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრები, ჩვეთვის კანონით მონიჭებული უფლებიდან გამომდინარე, ამა წლის 16 თებერვალს, 18 საათზე, სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ ვიწვევთ გამგეობის სხდომას, რომელზეც დადგება ფუტსალის ასოციაციის კონფერენციის (ყრილობის) მოწვევის და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების საკითხი.

**ირაკლი ქავთარაძე,** ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრი
**ბექა კვიციანი,** ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრი
**ლევან გრიგოლია,** გამგეობის წევრი
**გიორგი დარჯანია,** გამგეობის წევრი
**პაპუნა ხიდეშელი,** გამგეობის წევრი

**გამგეობის წევრებს მხარს უჭერენ:**

**ბესიკ ზოიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე, კლუბ ტტგ-ს მწვრთნელი
**პეტრე თაბუკაშვილი,** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი
**ალიკ სარქისიანი,** „იბერია სტარის“ მწვრთნელი, ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი
**ავთანდილ ასათიანი,** ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, „თელასის“ მთავარი მწვრთნელი
**ბესო არველაძე,** ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი
**დავით სოლოღაშვილი,** ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი
**ანდრო მიზანდარი,** ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი
**მამუკა კვანტალიანი,** ეროვნული ნაკრების ექიმი
**გიორგი ალთუნაშვილი,** ეროვნული ნაკრების კაპიტანი
**რეზო დევდარიანი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე (კვიპროსიდან)
**ნიკა ოსეფაშვილი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე (ესპანეთიდან)
**ლევან კობაიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ალექსანდრე ძაბირაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ალექსანდრე ჯამბურია,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი იოსებიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**შოთა კუბლაშვილი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლევან ზაქაიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი მშვიდობაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი რობაქიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ირაკლი კალმახელიძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლევან გაბუჩია,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ბექა მუმლაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**აკაკი კაკაშვილი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი სოზაშვილი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**არჩილ ბოკერია,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ირაკლი შელეგია,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლაშა ცნობილაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**დავით დარჩია,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**კახა ახალაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**რატი ხოსრუაშვილი,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**სერგო მელაძე,** ეროვნული ნაკრების მოთამაშე

**P.S.** ცხადია, ჩვენი მხრივ შევეცდებით მეორე მხარის, ანუ ფუტსალის ფედერაციის პრეზიდენტს შევეხმიანოთ, რათა ცალმხრივი აზრის დაფიქსირება არ გამოგვივიდეს.

# ფიბა-ს კონსტრუქტორის სემინარები პრესკონფერენციით დასრულდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გვყავს რამდენიმე ევროპული დონის კლუბი და ჩემპიონატი სულ უფრო საინტერესო და დაძაბული ხდება, რასაც თავის მხრივ ძლიერი, გამოცდილი მსაჯები და კომისრები სჭირდება, რათა ჩემპიონატის განვითარება და პროგრესი გაგრძელდეს. სწორედ ამიტომაც, მსგავსი სემინარების ჩატარება ქართველი მსაჯების და კომისრებისთვის მიშვნელოვანი და აუცილებელია.

**ვიქტორ მასი:**

– მადლობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მოწვევისთვის. ჩემთვის დიდი პატივია, რომ თქვენთან ვითანამშრომლებ. მსაჯების დონის ამაღლება სასურველი და მნიშვნელოვანია. სემინარის მიზანიც ეს არის. მართალია, ქართველი მსაჯების რიცხვი არ არის დიდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში მსაჯების რაოდენობაც და მათი ცოდნის დონეც საგრძნობლად მოიმატებს. ადრე რთული იყო მსაჯისთვის კვალიფიკაციის მოკლე დროში ამაღლება, ახლა ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ეს პროცესი საგრძნობლად გააიოლა.

# მიხეილ თუმანიშვილის იუბილე კინომსახიობთა თეატრში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

**მიშა თუმანიშვილის 91-ე დაბადების დღეზე კინომსახიობთა თეატრის მსახიობებმა ტრადიცია არ დაარღვიეს და დიდი რეჟისორის მოწაფეებთან, კინომსახიობთა თეატრის თანამშრომლებთან, ახლობლებთან და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებთან ერთად მის საფლავთან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შეიკრიბნენ. ეს ტრადიცია 1996 წელს დამკვიდრდა და მას შემდეგ უცვლელად ტარდება. რეჟისორის მოსწავლეებმა და კოლეგებმა იმ დიდ ღვაწლზე ისაუბრეს, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში გასწია.**

მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღეს ქართული თეატრალური და კინოსაზოგადოება კიდევ ორი გამორჩეული დიდი რეჟისორის სიკო დოლიძისა და მიხეილ ჭიაურელის დაბადების დღეებსაც აღნიშნავს. როგორც რეჟისორი ქეთი დოლიძე ამბობს, მას მიხეილ თუმანიშვილის თავისი მამისგან სიკო დოლიძისგან არასოდეს განურჩევია და ხშირად იმასაც კი გრძნობდა, რომ მამაზე მეტ დროს მიშა თუმანიშვილთან ატარებდა.

მიხეილ თუმანიშვილმა ქართულ თეატრალურ სივრცეში მოღვაწეობისას არაერთი ცნობილი რეჟისორი და მსახიობი აღზარდა. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთაველის თეატრში მთავარ რეჟისორად, იყო საქართველოს ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს მთავარი რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი და პროფესორი. 35 წლის წინ საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში მისივე სახელოსნო მსახიობთა და რეჟისორთა ექსპერიმენტული ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა კინომსახიობთა თეატრი. წიგნისათვის სანამ „რეპეტიცია დაიწყება“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

– მიხეილ თუმანიშვილის დადგმები გამოირჩევა მკაფიო თეატრალური ფორმით, ემოციურობით, ლაკონიზმით, დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფესიული კულტურით. მისი სპექტაკლები ნამდვილად ყველასგან გამორჩეულია. „ნუ დაბერდებით! ნამდვილი არტისტები მთელი ცხოვრება დაფრინავენ!“

– ასეთი იყო მისი მოწოდება. გასულ წელს ჩვენ აღვნიშნეთ მისი 90 წლის იუბილე, 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წლად გამოვაცხადეთ და მთელი წლის განმავლობაში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. ჩვენ მაშინ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, თუ როგორ აღგვენიშნა ეს თარიღი და ტრადიციულ შემოქმედებით საღამოზე უარი ვთქვით. ვფიქრობთ, რომ მიხეილ თუმანიშვილი ის ადამიანი არ იყო, ვისი ღვაწლის ერთ საღამოში ჩატევა შესაძლებელია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის საიუბილეო წელიწადად გამოგვეცხადებინა, – ამბობს კინომსახიობთა თეატრის მმართველი ზურაბ გეწაძე.

მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, კინომსახიობთა თეატრში მის მიერ დადგმული სპექტაკლები „ბაკულას ღორები“ და „ჩვენი პატარა ქალაქი“ გათამაშდა. სამმოქმედებიან სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“ მონაწილეობენ მსახიობები – გია აბესალაშვილი, მზია არაბული, პაატა ბარათაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, ზურაბ გეწაძე, ირინა გიუნაშვილი, დავით დვალიშვილი, ვანო თარხნიშვილი, გუგა კახიანი, მარი კიტია, ნანუკა ლითანიშვილი, ზაზა მიქაშავიძე, ეკა მოლოდინაშვილი, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, მიშა ჩეკურიშვილი, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია. სპექტაკლი თორთონ უალდერის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დაიდგა, რომელიც რეზო გაბრიაძემ გადმოაქართულა. პიესა უალდერის არის, თუმცა რეზო გაბრიაძემ ქართული ნაწარმოები შექმნა და ჩვენ წინ ქართული, დასავლეთ საქართველოს პროვინციული ქალაქის ყოველდღიურობა გააცოცხლა – იუმორით, ადამიანებისადმი სიყვარულით გამთბარი, ოჯახური ყოფის, სიკვდილისა და სიცოცხლის თანაარსებობის, სიხარულისა და ნაღველის, იდილიისა და შფოთვის პანორამა. ამ სპექტაკლით რეჟისორი პასუხს ორ კითხვაზე სცემს და გვეუბნება, სად ვეძებოთ სიყვარული და რა არის ადამიანის სიცოცხლის საზრისი?

საკმაოდ ორიგინალური და მრავლისმთქმელია მიხეილ თუმანიშვილის ჩანაწერები:

– მე და ეროსმა გადავწყვიტეთ დაგვედგა სპექტაკლი წარსულზე, განცდილზე, გარდასულზე, თითქოს დავიწყებულზე, სიკვდილზე, ქორწილზე. ერთი სიტყვით გველაპარაკა იმაზე, რაც ჩვენ განვიცადეთ და გვინახავს სიცოცხლეში. ეს არის სპექტაკლი, რომელიც ამბობს: ადამიანებო, შეჩერდით, ნუ ჩქარობთ, მიმოიხედეთ, მიაქციეთ ყურადღება იმას, რაც თქვენ გარშემო ხდება, მათ ვინც თქვენ გვერდითაა, – წერს რეჟისორი.

ამბობენ რომ „ჩვენი პატარა ქალაქი“ და „ჭინჭრაქა“ მიხეილ თუმანიშვილის ყველაზე საყვარელი სპექტაკლი იყო, რადგან „ყველა პრობლემა, რომელიც ცხოვრებისეულად და შემოქმედებით იყო მისთვის ამაღელვებელი, აქ თავმოყრილი აღმოჩნდა და გამოვიდა თავისებური თეატრალური რომანი – იმდენი ადამიანის ცხოვრება, იმდენი ფიქრი და განცდა დაიტია, ეს სპექტაკლი თავისი აგებულებით, თავისებური სიმფონიაცაა,“ – ასეთია თავად რეჟისორის შეფასებები.

– მან დატოვა ის ქართული თეატრი, რაც ჩვენ დღეს გვაქვს. 95 პროცენტი მსახიობებისა და რეჟისორებისა, სწორედ ბატონი მიშას აღზრდილები არიან. ის იყო თავისი საქმის ფანატიკოსი ადამიანი და ყველასგან იგივეს მოითხოვდა. მისი რეპეტიციები იყო უდიდესი სიამოვნება და არ ჰქონდა მნიშვნელობა რას დგამდა. მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა – იყო ნამყოფი ომში და ორჯერ ტყვედაც ჩავარდა, – იხსენებს ზურაბ გეწაძე.

დიდ რეჟისორს 91 წელი შეუსრულდებოდა. როგორც მისი მოწაფეები ამბობენ, მის ცხოვრებაში დაკარგული წლები არ ყოფილა, იგი ყოველთვის გულიანად და თავდაუზოგავად მუშაობდა, რადგან მისთვის თეატრი წმინდათაწმინდა იყო, მისი მოსწავლეები კი ცდილობენ ეს გზა გააგრძელონ და მიხეილ თუმანიშვილის პრინციპებს არ უღალატონ.

– თეატრო, ჩემი შენდამი სიყვარული საოცარია. მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც შეიძლება გიყვარდეს ქალი. მე შენ მიყვარხარ ვნებით და დაუოკებლად. მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც შეიძლება გიყვარდეს მზე და ჰაერი. მე შენ მიყვარხარ ზედმეტი სიტყვების გარეშე, ისე, როგორც შეიძლება გიყვარდეს სიცოცხლე, – ასეთი ჩანაწერი აქვს დიდ რეჟისორს თეატრთან მიმართებაში.

მიხეილ თუმანიშვილს არ უყვარდა იუბილეები, არც დაბადების დღის მილოცვა ახარებდა.

– 57 წლისა გავხდი და რატომღაც მილოცავენ. იმის მაგივრად, რომ კიდევ ერით დაკარგული წელი მომისამძიმრონ. თუმცა ეს წელი მაინცდამაინც დაკარგული არ იყო, რადგან თეატრი შევქმენი, პატარა, მაგრამ ჩემი თეატრი, ასეთი თეატრი არსად არ არის. გავხსენი თეატრი-სახელოსნო. ახალი თეატრი – ახალი სწავლება! თუ ახალი სწავლება არ არის, თუ რწმენა არ არის, არავითარი თეატრი არ აღმოცენდება. სიკეთე უნდა ქმნა. ასე მგონია, სტუდიის შექმნით კეთილი საქმე გავაკეთე და რაღაც კარგის შეგრძნება მეუფლება. ვინმემ რომ ნახოს, სპექტაკლისათვის როგორ ემზადებიან ჩემი სტუდიელები, როგორ უყურებენ სანთლის ალს, როგორ ურთიერთობენ მასთან, როგორ განაწყობენ ერთმანეთს სპექტაკლისათვის, როგორ განეშორებიან ყოველივე იმას, რაც ყოველდღიურია, დანალექია, ქუჩისაა, წარმავალი. ცდილობენ, მარადიულს ემსახურონ. რა ლამაზია ეს! ბედნიერი ვარ, როდესაც იქვე, სიბნელეში ვდგავარ და მათ ვუთვალთვალებ, – ასე იხსენებს მაესტრო კინომსახიობთა თეატრის შექმნის ისტორიას.

მაშინ, როცა მიხეილ თუმანიშვილს 91 წელი შეუსრულდებოდა, სიკო დოლიძე 109 წლის გახდებოდა. სიკო დოლიძემ კინოსტუდიაში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კინოქრონიკის სექტორს. მისი ფილმებია „დარიკო“, „ჯურღაის ფარი“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „პალიასტომის ტბა“, „ჭრიჭინა“, „ქალაქი ადრე იღვიძებს“, „ფატიმა“. სიკო დოლიძე თითქმის ყველა მის მიერ გადაღებული ფილმის სცენარისტია. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია ლეგენდარული ანიმაციური ფილმები „ჩხიკვთა ქორწილი“, „ბულბულის იუბილე“. რეჟისორი იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და ორდენით. სიკო დოლიძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. ოზურგეთში დგას რეჟისორის ძეგლი და არის მისი სახელობის ქუჩა.

მესამე იუბილარს მიხეილ ჭიაურელს 118 წელი შეუსრულდებოდა. მიხეილ ჭიაურელი საბჭოთა დიქტატორის იოსებ სტალინის ცხოვრების ამსახველი პომპეზურ-მონუმენტალური ფილმების ავტორია. სხვადასხვა წლებში იყო თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრების მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი. მიხეილ ჭიაურელის სახელს უკავშირდება თბილისის სატირის თეატრის დაარსება. მანვე ჩამოაყალიბა დავით ძნელაძესთან ერთად ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი. კინოში მისი შემოქმედება დაიწყო მსახიობობით. რეჟისორმა მთელი თავისი ცხოვრება მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძეს დაუკავშირა. ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელი ერთმანეთს საგარეჯოში შეხვდნენ, სადაც თეატრალური სტუდია ჰქონდა გახსნილი საფრანგეთიდან დაბრუნებულ გიორგი ჯაბადარს. ამ სტუდიაში მოსკოვიდან ჩამოსული ვერიკოც დადიოდა. 24 წლის მიხეილ ჭიაურელს ვერიკო მანამდე ნანახი არ ჰყავდა.

– თმოდიოდა ქალი დიდი ნაბიჯებით. ეცვა აბრეშუმის გრძელი კაბა. ვერ გაიგებდი, თვალებით ვის უყურებდა, ოდნავ მოზრდილი ცხვირი, უწესრიგოდ, ფაფარივით გადმოყრილი თმა. ყველას მოგვესალმა და მე მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მე შემომხედა. მე მას პირველად ვხედავდი, და ვხედავდი მხოლოდ მას! ეზოში მწვანეზე ჩამოვსხედით ყველა. მოხდა ისე, რომ ვერიკო ჩემთან ახლოს დაჯდა. რა ბედნიერებაა! ბედნიერებას განვიცდიდი და არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს. ჯაბადარმა ახალგაზრდა მსახიობს სთხოვა რამე წაეკითხა. ვერიკომ სასტიკი უარი განაცხადა. სთხოვდნენ ჩვენი მსახიობებიც. „ვთხოვ, იქნებ, დამიჯეროს“, გავიფიქრე და თითქმის ჩურჩულით ვთქვი, მეც გეხვეწებით-მეთქი. მან ერთი შემომხედა და დაუყოვნებლივ დაიწყო. რატომ დაიწყო მაინცდამაინც მაშინ, როცა მე ვთხოვე? არ ვიცი. რა ახლოს იყო მისი ხელი დაბლა. ვერაფერს ვგრძნობდი. მე ტაში არ დავუკარი, დავიხარე და ხელზე ვაკოცე, – ასე იხსენებს მიხეილ ჭიაურელი თავის მოგონებებში ვერიკო ანჯაფარიძესთან შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ ვერიკოც გათხოვდა და მიხეილმაც ცოლი მოიყვანა, მათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება მაინც ვერ შეძლეს.

– დაე, ილაპარაკონ! რაც უნდათ, ის თქვან, მე შენ მიყვარხარ!, – უთხრა კაცმა ქალს და ძალიან ნაზად ეამბორა. იმ ადგილას ფიქრის გორაზე, სადაც წვყილი პაემანზე ხვდებოდა ერთმანეთს, რეჟისორმა ვერიკოს სიყვარულის და ერთგულების ნიშნად სახლი აუშენა.

ამბობენ, რომ ვერიკო ანჯაფარიძე მხოლოდ იმიტომ გაყვა ცოლად თავისზე 11 წლით უფროს შალვა ამირეჯიბს, რომ მსახიობს ეს მომაკვდავმა მამამ სთხოვა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ჯვრისწერის შემდეგ მსახიობს გული შეუღონდა, რადგან მას მიხეილ ჭიაურელი უყვარდა. მიხეილ ჭიაურელმა ვერიკოს დასავიწყებლად ცოლი მოიყვანა, თუმცა ეს დაბრკოლებები მათ სიყვარულს წინ ვერ აღუდგა და ვერც გაანელა. შალვა ამირეჯიბი კი მთელი ცხოვრება ვერიკო ანჯაფარიძის ერთგული დარჩა და ემიგრაციაში წასულსაც აღარ შეურთავს მეორე ცოლი.


## გაზეთი ახალი თაობა“ გთავაზობთ სერიას

32 ტომი

## მსოფლიო დეტექტივების სეიფი

ტომი 1. **ჯეიმს ჰედლი ჩეიზი.** დათარსული კაცი.
2. **ართურ კონან დოილი.** მოწამლული სარტყელი. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
3. **სიდნეი შელდონი.** ნიღაბჩამოხსნილი სახე. უცნობი სარკეში.
4. **აგათა კრისტი.** მივიწყებული მკვლელობა.
5. **ჯადსონ ფილიფსი.** სახლი მთაზე. ჭორების ქალაქი.
6. **როს მაკდონალდი.** კვალს მივყავართ ელ რანჩოში.
7. **ჯონ დიქსონ კარი.** იმპერატორის საბურნუთე. სიკვდილი არარსებულ ოთახში.
8. ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი.
9. დეშილ ჰემეთი. მინის გასაღები. უაზრო საქმე.
10. ბორის აკუნინი. ლევიათანი.
11. ჩარლზ პ. სნოუ. სიკვდილი იალქნის ქვეშ.
12. დიკ ფრენსისი. ფავორიტი.
13. რაიმონდ ჩანდლერი. ქალი ტბაში.
14. სეიტო მაცუმოტო. მკვიდრთა სამყარო.
15. სირილ ფეირი. წმინდა ინგლისური მკვლელობა.
16. ფრიდრიხ დიურენმატი. ავარია.
17. ჟორჟ სიმენონი. ყვითელი ძაღლი.
18. ბუალო-ნერსჟაკი. ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს.
19. იჟი ედიგეი. თვითმკვლელის ანდერძი.
20. ფრედ ვარგასი. წამოდექით, მიცვალებულებო!
21. ედგარ ალან პო. მკვლელობა მორგის ქუჩაზე.
22. ჯონ ლე კარე. მკვლელობა ჯენტლმენურად.
23. ჰაინერ რანკი. მწვანე მოჩვენება.
24. ჯეფრი ჰადსონი. საგანგებო შემთხვევა.
25. კრისტინ ზემსკი. ოქროს საცეცები.
26. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. ქვის ჯუნგლი. მოწმეები არ იქნებიან.
27. პერ ვალე. 31-ე განყოფილების დაღუპვა.
28. ერლ სტენლი გარდნერი. ცალთვალა მოწმის ჩვენება.
29. როს მაკდონალდი. უკანასკნელი მზერა.
30. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი I.
31. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი II.
32. აგათა კრისტი. სიკვდილი ღრუბლებში.

მუქი შრიფტით აღნიშნულია უკვე გასული წიგნები

## ყოველი შაბათის ნომერში

!! სტ,ტჰდკბლფყ უფბ.ბლტ,ფ ნჯვბ * 2 ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი

# სირიაში ბოლო რვა საათში დაღუპულია 47 მშვიდობიანი მოქალაქე

სირიაში მიმდინარე ძალადობას ვერ ავიცილებთ ისეთი ზომების გარეშე, როგორიც არის, მაგალითად, ფრენების აკრძალვა ქვეყნის თავზე. ეს განცხადება სირიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელმა რადვან ზიარდმა გააკეთა ავსტრალიურ ტელეკომპანია „აბეცესთან" საუბარში.

— არა მგონია, რომ ისეთი ქმედებების გარეშე, როგორიც არის სირიის თავზე არასაფრენი ზონის გამოცხადება, ბაშარ ასადი გაიგებს მისთვის გაგზავნილ სიგნალს შეაჩეროს მკვლელობები, — განაცხადა სირიელმა ოპოზიციონერმა. მან ასევე განაცხადა ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება უმოქმედოდ არ უნდა იყოს და მორიგ ვეტოს არ უნდა დაელოდოს.



ამას გარდა, ოპოზიციონერი ასევე მიიჩნევს, რომ სირიის ხელისუფლებასთან დიალოგი შეუძლებელია და რომ ბაშარ ასადი საერთაშორისო სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

სირიის ჯარები კი ქალაქ ხომსის არტილერიულ დაბომბვას განაგრძობენ. ბი-ბი-სის ინფორმაციით, ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ბოლო რვა საათის განმავლობაში დაღუპულია 47 მშვიდობიანი მოქალაქე.

ქალაქი, რომელიც ამბოხებულთა მთავარი საყრდენია, სამთავრობო ძალებმა ალყაში გასულ კვირას მოაქციეს.

ქვეყნის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მზად არის დიალოგისთვის ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ძალასთან.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით, ვაშინგტონმა გამოთქვა ეჭვი, რომ ასადის მიერ რუსეთისთვის მიცემული პირობა „ცარიელი სიტყვებია".

ამ ფონზე, საფრანგეთმა და იტალიამ კონსულტაციისთვის სირიიდან თავიანთი ელჩები გამოიწვიეს. ინფორმაციას ამის შესახებ საფრანგეთისა და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროები ავრცელებენ.

თუმცა იტალიის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იტალიის საელჩო ღია იქნება და გააგრძელებს ყურადღებით დაკვირვებას უკიდურესად მძიმე კრიზისზე.

შეგახსენებთ, რომ აშშ-მ თავისი დიპლომატები სირიიდან სრული შემადგენლობით უკვე გაიწვია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი მიხაილ ფრადკოვი გუშინ დამასკოში ჩავიდნენ. მათ პრეზიდენტ ბაშარ ასადთან მოლაპარაკებები ჩაატარეს. ინფორმაცია ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლავროვი და ფრადკოვი დამასკოში რუსეთის პრეზიდენტის დავალებით ჩავიდნენ, რათა სირიაში შექმნილი კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსავლის გზები მოძებნონ.

მოსალოდნელია, რომ რუსული დელეგაციის წარმომადგენლები სირიის პრეზიდენტს რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის გზავნილს გადასცემენ.

— სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ მას ქვეყანაში ძალადობის შეწყვეტა სურს, — ეს განცხადება სირიაში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა.

— ძალიან სასარგებლო შეხვედრა ჩავატარეთ სირიის არაბული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან და გამოვთქვით მზადყოფნა, ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ კრიზისიდან უსწრაფეს გამოსვლას იმ პოზიციის საფუძველზე, რომელიც არაბული სახელმწიფოების ლიგამ ჩამოაყალიბა. კერძოდ, სირიის პრეზიდენტმა დაგვარწმუნა, რომ სავსებით უჭერს მხარს ძალადობის შეწყვეტას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის, — განაცხადა ლავროვმა და დამასკოში ვიზიტს „სასარგებლო და დროული" უწოდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ბაშარ ასადი რეფერენდუმის თარიღს გამოაცხადებს, რომელიც ქვეყნის ახალ კონსტიტუციასთან იქნება დაკავშირებული.

ასევე შეგახსენებთ, რომ რუსეთმა და ჩინეთმა უკვე მეორედ ბლოკირება მოახდინეს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციისა, რომელიც სირიაში არსებული სიტუაციისადმი იყო მიძღვნილი, სადაც გასული წლის მარტიდან არმიასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება გრძელდება.

2011 წლის მარტიდან ამ შეტაკებებში გაეროს მონაცემებით უკვე 5 ათასზე მეტი სირიელია დაღუპული. ოპოზიცია ბაშარ ასადის გადადგომას მოითხოვს.

ამასობაში, თურქეთი სირიის საკითხთან დაკავშირებით ახალ ინიციატივაზე მუშაობს. თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაეპ ერდოღანის თქმით, ეს წინადადება იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც გაერო-ს რეზოლუციას სირიასთან დაკავშირებით მხარი დაუჭირეს.

— ჩვენ ვმუშაობთ ახალ ინიციატივაზე, რომელსაც შევთავაზებთ იმ ქვეყნებს, რომლებიც დგანან სირიელ ხალხთან და არა ბაშარ ასადის მთავრობასთან, — განაცხადა ერდოღანმა.

როგორც „ალ-არაბია" იუწყება, ერდოღანი ინიციატივის დეტალებზე საუბრისგან ამ დროისთვის თავს იკავებს.

— პროცესი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განვითარდა, არის ფიასკო ცივილიზებული სამყაროსი, — აღნიშნა თურქეთის პრემიერმა.

# მიტ რომნის რეალური კონკურენტი გამოუჩნდა

ამერიკის „რესპუბლიკური პარტიის" პრეზიდენტობის ლიდერ კანდიდატ მიტ რომნს კონკურენტი გამოუჩნდა.

უცხოური მედიის ინფორმაციით, კოლორადოს, მისურისა და მინესოტას შტატებში ჩატარებულ პრაიმერებში გამარჯვება ყოფილმა სენატორმა რიკ სანტორუმმა მოიპოვა.

სანტორუმმა მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნი, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატობისთვის ბრძოლაში ფავორიტად ითვლება, დამაჯერებლად დაამარცხა.

„რესპუბლიკური პარტიის" პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა, რომელიც არჩევნებში აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტ ბარაქ ობამას დაუპირისპირდება, საბოლოოდ ზაფხულის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

რიკ სანტორუმი გამორჩეული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, განათლებული და მაღალი სულიერი ღირებულებების მქონე ადამიანია.

აღნიშნული ამონარიდი „იუთუბზე" განთავსებული რიკ სანტორუმის წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლიდანაა.

53 წლის ყოფილ სენატორს პენსილვანიის შტატიდან გულშემატკივართა დიდი რაოდენობა ჰყავს. მას სენატორის პოსტი 16 წლის განმავლობაში ეკავა. ის კათოლიკე ქრისტიანი და ექვსი შვილის მამაა.

— რწმენა ჩემთვის ოჯახის სიწმინდის დაცვისა და თავისუფლების ღირებულების ქონის საშუალებაა. ამის თაობაზე აღვნიშნე კიდეც, რომ რწმენა, მყარი ოჯახური იდილიისა და თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, — განაცხადა ბატონმა სანტორუმმა.

საპრეზიდენტო კანდიდატისათვის მიუღებელია აბორტი და ასევე ჰომსექსუალიზმის არსებობა.

სანტორუმის კონსერვატიული შეხედულებები ევანგელისტური ეკლესიის უამრავ მრევლს ხიბლავს.

ჯეიმს ლინდსლი ვაშინგტონში არსებული საგარეო ურთიერთობების საბჭოს წარმომადგენელია, რომელიც ყურადღებას საშინაო პოლიტიკაზე ამახვილებს:

„საგულისხმოა, რომ აიოვას შტატი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრ სოციალ-კონსერვატიულ და ევანგელისტურ ამომრჩეველთა რაოდენობით გამოირჩევა. ზოგიერთი მათგანი შეერთებული შტატებისა და ისრაელის ურთიერთობის საკითხსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს."

დეკემბერში ამ საკითხს სანტორუმის საპრეზიდენტო დებატებში მონაწილეობის დროს, გარკვეული ყურადღებაც დაეთმო:

— ისრაელს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა ხდება მის მიწა-წყალზე და როგორც მთელი ისრაელის ტერიტორია, ისე მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირიც ისრაელის მიწაზე მდებარეობს, — აღნიშნა რიკ სანტორუმმა.

სანტორუმმა ასევე დასძინა, რომ იგი ირანის ტერიტორიაზე განთავსებულ ატომურ ნაგებობებზეც მიიტანდა იერიშს.

მიუხედავად სანტორუმის პოპულარობისა, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ექსპერტმა მისი წინასაარჩევნო პროცესში გამარჯვება ეჭვის ქვეშ დააყენა.

სტეფან შმიტი აიოვას უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერების პროფესორია:

„ვფიქრობ, რიკ სანტორუმს არ შეუძლია საბოლოო გამარჯვების მოპოვება. მას არც ბევრი ფული აქვს და არც იმის საშუალება, რომ სხვადასხვა ადგილას აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია."

თუმცა სანტორუმს, წინასაარჩევნო პროცესში, რესპუბლიკური პარტიის გამოკვეთილი ლიდერის სტატუსი მაინც ერგო;

აიოვაში მიღწეული წარმატება, კანდიდატებს დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვაში დაეხმარა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## hЗჯცeჯЗcბ ,



**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი რომან „რკინის თეატრის" ავტორი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 3. მე-20 საუკუნის დასაწყისის მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 5. ქრისტიანული სამლოცველო, ეკლესია; 7. თურქეთის პარლამენტი; 11. ქუთაისთან დამეგობრებული ფრანგული ქალაქი; 12. საქირაო ეტლი ევროპის ქალაქებში ძველად; 13. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური ფირმა; 14. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 15. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 17. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 19. უკრაინის პარლამენტი.

**თარაზულად:** 5. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 6. ფრანგული სიგარეტი; 8. თიხისა და თაბაშირის ნარევის გამოწვით მიღებული სამშენებლო მასალა; 9. ღვინის დანალექი; 10. მშრალ კედელზე წყლის საღებავებით შესრულებული ნახატი; 11. აეროპორტი თელავივში; 13. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 14. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 16. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 18. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 20. მსხვილი სოსისი; 21. პეკინის ისტორიული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცპიბ უფვჯმeცტ.ყც,ებბ hЗჯცeჯЗcთ,ბც გფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლეგენდა; 2. პიკადორი; 3. დროსელი; 5. ვატერლოო; 7. ოცელოტი; 9. ტაბაწყური; 13. ბოლნისი; 15. ერმისა; 16. მღვიმე; 18. ბზიფი.

**თარაზულად**: 4. გელოვანი; 6. ჭვიშტარი; 8. რეპატრიაცია; 10. პულკოვო; 11. ბალი; 12. სტრიტი; 14. ზესხო; 17. წყარო; 19. ომარი; 20. ხიდაშელი; 21. იაკი; 22. მაკლარენი; 23. გირკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ზანავი; 2. ვლტავა; 3. ტელფერი; 4. ხითხითი; 5. რომანსი; 7. პიცერია; 11. თერძი; 12. აიაქსი; 13. კაზუარი; 14. მასტიფი; 15. გუცული; 17. ანხელი; 19. დოღი.

**თარაზულად**: 5. რაფაელი; 6. გოლეული; 8. ვაცი; 9. ტესტი; 10. ნარიტა; 11. თული; 13. კალაჰარი; 14. მარსი; 16. ჩაუქი; 18. შოუდუ; 20. ფარღული; 21. ლაქლაქი.

## ცფვუკჯდბფკჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მარიამ გელაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ზინა ცხოვრებაშვილ-მჭედლიშვილს მეუღლის

**ვალერიან მჭედლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ქვემო წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მრევლი თანაგრძნობას უცხადებს ზინა ცხოვრებაშვილს მეუღლის

**ვალერიან მჭედლიშვილის**

გარდაცვალების გამო.



ვეკუების საგვარეულო კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი კოლორიტული პიროვნება, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და ღვაწლმოსილი პედაგოგი

**მელენტი ალექსის ძე ვეკუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 9 თებერვალს, 15 საათზე, ნუცუბიძის III მიკრორაიონი, „ღვთისმშობლის ხარების" სახელობის ეკლესიიდან.

**ცფვუკჯდბფკჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7**
**რდბპბს უფკლფ7!@–ლფყ!& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 9 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **14.00** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"მოკლე ისტორიები"** (15) (ე. მაკდაუელი) **05.00** მხ. ფილმი **"უკან დედამიწაზე"** (პ. ვაიცი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"შეკლეტონი"** **01.00** მხ. ფილმი **"ძმა, მზე და მთვარე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** 100 გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ქართ. ფილმი **"მიდი, ძმაო, მიდი"** **23.40** სიმართლის დრო **00.50** მხ. ფილმი **"მატჩ პოინტი"** (15) (ს. იოჰანსონი) **03.15** მხ. ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქაოსი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"სხეული და სული"** **15.15** სერ. **"ექიმი ქაორი"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"წარსულის აჩრდილები"** 1-ლი ნ. **13.20** კონცერტი — გიზი ამირეჯიბის კლასი **15.05** განთიადის სუტმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** მხ. ფილმი **"ბავშვი მიდის სასეირნოდ"** **17.30** დრო და ტრადიციები **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"წარსულის აჩრდილები"** მე-2ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **22.25** წმინდა იოანე ოქროპირი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფილმი "ლაზეთის ბულბული"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 თებერვალი

აშშ დოლარი — 1,669

ევრო —2,1296

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759

რუსული რუბლი — 0,0526

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–5, ღამით — -3–0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2

ფვბყცბც გ3ჯუყჯ3ბ
( სტ,ტ3ელბცსებც




# 8 თებერვლიდან

# ჟურნალ „სარკესთან“ ერთად გაიყიდება საატესტატო საგამოცდო ტესტების მეორე ტომი

## მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია




## ფასი ჟურნალთან ერთად 4,5 ლარი

## ფიბა-ს კონსტრუქტორის სემინარები პრესკონფერენციით დასრულდა

ფიბა-ს ინსტრუქტორმა ვიქტორ მასიმ ქართველ მსაჯებს, კომისრებსა და მატჩების მომსახურე მდივნებს მორიგი სემინარები ჩაუტარა. წარმოშობით ესპანელი სპეციალისტი თბილისში 2 დღის წინ ჩამოვიდა და სასტუმრო „სიმპათიაში“ სემინარები გამართა, რომლებსაც საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირის წევრები სრული შემადგენლობით დაესწრნენ.



დღევანდელ სემინარზე კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და სპორტის სამინისტროს აპარატის უფროსი ირაკლი სამყურაშვილიც მივიდნენ და ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— ვიქტორ მასის ჩამოსვლა და მისი სემინარების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, გვყავს მაღალი დონის მსაჯები და კომისრები, მაგრამ მათთვის პერიოდულად ასეთ სემინარებში მონაწილეობა აუცილებელია. ჩვენი სტუმარი გამოცდილი ადამიანია და ქართველ კოლეგებს გამოცდილებას გაუზიარებს, ასევე შეაფასებს საერთო მდგომარეობას და განსაზღვრავს ზუსტად, თუ მომავალში რა უნდა გაკეთდეს.

**ირაკლი სამყურაშვილი:**

— კალათბურთი პრიორიტეტული სპორტის სახეობაა, სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სუპერლიგის გათამაშება კი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული პირველობაა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ·ლტპფვ ეფბსლფპბცობყტს=

fcnhjghjuyjpb
( სტ,ტ3ელბცსებც

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — გზიდან კარგ ამბავს იგებთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება და თქვენთვის კარგი ინფორმაცია მოაქვს. **მშვილდოსანი** — ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ თვლით. **თხის რქა** — საკითხის გაშუქება თქვენ მოგანდეს, იყავით ობიექტური. **მერწყული** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გეგმავდით. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

ებცე3ლტ,ს ,ტცყბტ3 ცქტს=

## h3xcexpcb

**შვეულად:** 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის გამოყენებით; 2. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 3. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 5. გურიასა და აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 7. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 9. დაკონსერვებული პროდუქტებით გამოწვეული მძიმე მოწამვლა; 13. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 15. იაპონური ერთგვარი ყველი; 18. მართალი, პატიოსანი ადამიანი.

**თარაზულად:** 4. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 6. ხეობაში დაცურებული ყინულის მასა; 8. ინდური იგავ-არაკების კრებული; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. სამკითხაო ბანქო; 12. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 14. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 19. გაავებული, მძვინვარე მამაკაცი; 20. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 21. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 22. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 23. გამჭვირვალე, მქრქალი ფაიფური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# 1 თებერვლიდან

ეყბრფკეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-19 ტომი

## ხბყუბბპ .ფტყბ

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტპსფლ * კფპბ